

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე განთავსებულ ევროკავშირის კანონმდებლობის აქტების ქართულენოვან ვერსიებს არ გააჩნია ოფიციალური იურიდიული ძალა

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2011/83/EC

მომხმარებელთა უფლებების, საბჭოს დირექტივასა 93/13/EEC და ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივაში 1999/44/EC შესწორებების შეტანის და საბჭოს დირექტივისა 85/577/EEC და ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 97/7/EC გაუქმების შესახებ

(ტექსტი ვრცელდება ევროპის ეკონომიკურ სივრცეზე)

ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ,

ითვალისწინებენ რა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, კერძოდ, ამ ხელშეკრულების 114-ე მუხლს,

ითვალისწინებენ რა ევროკომისიის წინადადებას,

ითვალისწინებენ რა ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მოსაზრებას¹,

ითვალისწინებენ რა ევროპის რეგიონების კომიტეტის მოსაზრებას²,

მოქმედებენ რა მიღებული საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად³,

ვინაიდან:

1. საბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის დირექტივა 85/577/EEC მომხმარებლის დაცვის მიზნით სახელშეკრულებო მოლაპარაკებების ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსის ფარგლებს გარეთ წარმოებასთან⁴ და ევროპარლამენტისა და საბჭოს 1997 წლის 20 მაისის დირექტივა 97/7/EC მომხმარებელთა დაცვის შესახებ დისტანციურ ხელშეკრულებასთან მიმართებით⁵, ადგენენ რიგ სახელშეკრულებო უფლებებს მომხმარებლებისთვის.
2. აღნიშნული დირექტივები განხილულ იქნა გამოცდილების გათვალისწინებით, მოქმედი წესების გამარტივებისა და განახლების მიზნით, წესებში შეუსაბამობების აღმოფხვრითა და არასასურველი ხარვეზების გამოსწორებით. განხილვამ აჩვენა, რომ მიზანშეწონილია აღნიშნული ორი დირექტივის ერთი დირექტივით ჩანაცვლება. შესაბამისად, წინამდებარე დირექტივამ უნდა დაადგინოს სტანდარტული წესები დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების საერთო ასპექტებისთვის, რომლებიც სცილდება წინა დირექტივების მინიმალური ჰარმონიზაციის მიდგომას და ამავდროულად საშუალებას აძლევს წევრ სახელმწიფოებს შეინარჩუნონ ან მიიღონ ეროვნული წესები გარკვეულ ასპექტებთან დაკავშირებით.
3. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 169-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 169-ე მუხლის მე-2 პუნქტის (a) ქვეპუნქტი უზრუნველყოფენ ევროკავშირის წვლილს მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მიღწევაში, 114-ე მუხლის თანახმად მიღებული ზომების საშუალებით.
4. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შიდა ბაზარი მოიცავს შიდა საზღვრების არმქონე ზონას, რომელშიც უზრუნველყოფილია საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება და ცხოვრებისა და ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება. მომხმარებლის დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაცია აუცილებელია მომხმარებლის ნამდვილი შიდა ბაზრის ხელშეწყობისთვის, რომელიც სწორად აბალანსებს მომხმარებლის დაცვის მაღალ დონესა და საწარმოთა კონკურენტუნარიანობას და ამავდროულად უზრუნველყოფს სუბსიდიარობის პრინციპის დაცვას.
5. დისტანციური გაყიდვების ტრანსსასაზღვრო პოტენციალი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს შიდა ბაზრის ერთ-ერთ მთავარ ხელშესახებ შედეგს, არ არის სრულად გამოყენებული. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში შიდასახელმწიფოებრივი დისტანციური გაყიდვების საგრძობლად ზრდასთან შედარებით, ტრანსსასაზღვრო დისტანციური გაყიდვების ზრდა შეზღუდულია. აღნიშნული განსხვავება განსაკუთრებით აღსანიშნავია ინტერნეტ გაყიდვებში, რომლის შემდგომი ზრდის პოტენციალი მაღალია. ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსის გარეთ წარმოებული ხელშეკრულებების (პირდაპირი გაყიდვები) ტრანსსასაზღვრო პოტენციალი შეზღუდულია რიგი ფაქტორებით, მათ შორის მრეწველობაზე დაკისრებული მომხმარებელთა დაცვის სხვადასხვა ეროვნული წესებით. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში შიდასახელმწიფოებრივი პირდაპირი გაყიდვების ზრდასთან შედარებით, უცვლელი დარჩა მომხმარებელთა რიცხვი, რომლებიც ტრანსსასაზღვრო შესყიდვებისთვის იყენებენ ამ არხს, , კერძოდ მომსახურების სექტორში, მაგალითად, კომუნალური მომსახურების შემთხვევაში. მრავალ წევრ სახელმწიფოში მზარდი სამრეწველო შესაძლებლობების საპასუხოდ, მცირე და საშუალო საწარმოებმა (მათ შორის ინდივიდუალურმა მოვაჭრებმა) ან პირდაპირი

- გაყიდვების კომპანიათა აგენტებმა ბიზნეს შესაძლებლობები უნდა ეძიონ სხვა წევრ სახელმწიფოებში, კერძოდ, სასაზღვრო რეგიონებში. შესაბამისად, მომხმარებელთა ინფორმაციისა და დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებებიდან გასვლის უფლების სრული ჰარმონიზაცია ხელს შეუწყობს მომხმარებელთა დაცვის მაღალ დონეს და „ბიზნესი-მომხმარებელი“ ტიპის შიდა ბაზრის გამართულ ფუნქციონირებას.
6. გარკვეული განსხვავებები ქმნის მნიშვნელოვან შიდა საბაზრო ბარიერებს, რომლებსაც გავლენა აქვს მოვაჭრეებსა და მომხმარებლებზე. აღნიშნული განსხვავებები ზრდის შესაბამისობის ხარჯებს მოვაჭრეებისთვის, რომელთაც სურთ ჩაერთონ საქონლის ტრანსსასაზღვრო რეალიზაციაში ან მომსახურების ტრანსსასაზღვრო უზრუნველყოფაში. არაპროპორციული ფრაგმენტაცია ასევე ამცირებს სამომხმარებლო ნდობას შიდა ბაზრის მიმართ.
 7. გარკვეული ძირითადი მარეგულირებელი ასპექტების სრული ჰარმონიზაცია საგრძნობლად გაზრდის როგორც მომხმარებელთა, ასევე მოვაჭრეთა სამართლებრივ რწმენას. როგორც მომხმარებლებს, ასევე მოვაჭრეებს უნდა შეეძლოთ დაყრდნობა ერთ მარეგულირებელ ჩარჩოზე, რომელიც დაფუძნებულია ევროკავშირის მასშტაბით „ბიზნესი-მომხმარებელი“ ტიპის ხელშეკრულებების გარკვეული ასპექტების მარეგულირებელ, მკაფიოდ განსაზღვრულ, სამართლებრივ კონცეფციებზე. აღნიშნული ჰარმონიზაციის შედეგმა უნდა აღმოფხვრას წესების ფრაგმენტაციისგან გამომწვეული ბარიერები და შეავსოს შიდა ბაზარი ამ სფეროში. აღნიშნული ბარიერების აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ ევროკავშირის დონეზე ერთიანი წესების დანერგვით. ასევე, მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ ისარგებლონ დაცვის საერთო მაღალი დონით ევროკავშირის ფარგლებში.
 8. მარეგულირებელი ასპექტები, რომლებიც საჭიროებს ჰარმონიზებას, უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც იდება მოვაჭრეებსა და მომხმარებლებს შორის. შესაბამისად, წინამდებარე დირექტივა გავლენას არ ახდენს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე, რომელიც ვრცელდება დასაქმებასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებების, სამემკვიდრეო უფლებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების, საოჯახო სამართალთან დაკავშირებული ხელშეკრულებებისა და კომპანიების ჩამოყალიბებასა და ორგანიზებასთან ან თანამშრომლობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების სფეროებზე.
 9. წინამდებარე დირექტივა ადგენს წესებს ინფორმაციის შესახებ, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს დისტანციური ხელშეკრულებისთვის, ქუჩაში დადებული ხელშეკრულებისთვის და დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების გარდა სხვა ხელშეკრულებებისთვის. წინამდებარე დირექტივა ასევე არეგულირებს დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებებიდან გასვლის უფლებას და უზრუნველყოფს გარკვეული დებულებების ჰარმონიზაციას, რომლებიც უმკლავდება „ბიზნესი-მომხმარებელი“ ტიპის ხელშეკრულებების შესრულებასა და მის სხვა ასპექტებს.
 10. წინამდებარე დირექტივამ არ უნდა შეზღუდოს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 17 ივნისის რეგულაცია (EC) No 593/2008 კანონმდებლობის შესახებ, რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულებებზე ვრცელდება (რომი I)⁶.
 11. წინამდებარე დირექტივამ არ უნდა შეზღუდოს ევროკავშირის დებულებები, რომლებიც ეხება კონკრეტულ სექტორებს, როგორებიცაა სამკურნალო პრეპარატები ადამიანის მიერ მოხმარებისთვის, სამედიცინო ტექნიკა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება და ელექტრონული კომუნიკაციები, პაციენტის უფლებები წევრი სახელმწიფოების დონეზე ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, სურსათის ეტიკეტირება და ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შიდა ბაზარი.
 12. წინამდებარე დირექტივაში გათვალისწინებულმა საინფორმაციო მოთხოვნებმა უნდა შეავსოს შიდა ბაზარზე მომსახურების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 12 დეკემბრის დირექტივისა 2006/123/EC⁷ და შიდა ბაზარზე საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების გარკვეული იურიდიული ასპექტების, კერძოდ, ელექტრონული კომერციის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 8 ივნისის დირექტივის 2000/31/EC („დირექტივა ელექტრონული კომერციის შესახებ“)⁸ საინფორმაციო მოთხოვნები. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეინარჩუნონ დამატებითი საინფორმაციო მოთხოვნების დაკისრების შესაძლებლობა, რომლებიც ვრცელდება მათ ტერიტორიაზე დაფუძნებულ მომსახურების მიწოდებლებზე.
 13. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეინარჩუნონ კომპეტენცია ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, რათა გამოიყენონ წინამდებარე დირექტივის დებულებები ისეთ სფეროებში, რომლებიც სცდება აღნიშნული დირექტივის რეგულირების სფეროს. შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ან დანერგონ ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც შეესაბამება აღნიშნული დირექტივის დებულებებს, ან ზოგიერთ დებულებას, იმ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რომლებიც სცდება აღნიშნული დირექტივის რეგულირების სფეროს. მაგალითად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება წინამდებარე დირექტივის წესების ისეთ იურიდიულ ან ფიზიკურ პირებზე გავრცელების შესახებ, რომლებიც ამ დირექტივის განმარტებით არ წარმოადგენენ მომხმარებლებს, როგორებიც არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, დამწყები კომპანიები ან მცირე და საშუალო საწარმოები. ანალოგიურად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ წინამდებარე დირექტივის დებულებები ისეთ ხელშეკრულებებზე, რომლებიც ამ დირექტივის განმარტებით არ წარმოადგენს დისტანციურ ხელშეკრულებებს, მაგალითად, იმიტომ, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები არ დადებულია ორგანიზებული დისტანციური გაყიდვების ან მომსახურების მიწოდების სქემის ფარგლებში. უფრო მეტიც, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ან დანერგონ ეროვნული დებულებები ისეთ საკითხებზე, რომლებსაც წინამდებარე დირექტივა კონკრეტულად არ ეხება, როგორებიცაა ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დამატებითი წესები, მათ შორის ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება საქონლის მიწოდებას ან ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნებს ხელშეკრულების არსებობის დროს.
 14. წინამდებარე დირექტივამ გავლენა არ უნდა მოახდინოს შიდასამართლებრივი კანონმდებლობის სახელშეკრულებო სამართლის სფეროზე, იმ სახელშეკრულებო სამართლის ასპექტებისთვის, რომლებიც არ რეგულირდება აღნიშნული დირექტივით. შესაბამისად, წინამდებარე დირექტივამ არ უნდა შეზღუდოს

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, რომელიც, მაგალითად, არეგულირებს ხელშეკრულების დადებას ან მის ნამდვილობას (მაგალითად, თანხმობის არარსებობის შემთხვევაში).

ანალოგიურად, წინამდებარე დირექტივამ გავლენა არ უნდა მოახდინოს ზოგად სახელმწიფოებრივ სამართლებრივ საშუალებებთან დაკავშირებულ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე, საჯარო ეკონომიკურ წესრიგთან დაკავშირებულ წესებზე, მაგალითად, გადაჭარბებული ან გამომძალველი ფასის წესებზე და არაეთიკურ სამართლებრივ გარიგებებზე.

15. წინამდებარე დირექტივამ არ უნდა მოახდინოს მომხმარებელთა ხელშეკრულებებზე გავრცელებული ენობრივი მოთხოვნების ჰარმონიზაცია. შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ან დანერგონ სახელმწიფოებრივ ინფორმაციასა და სახელმწიფოებრივ პირობებთან დაკავშირებული ენობრივი მოთხოვნები საკუთარ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში.
16. წინამდებარე დირექტივამ გავლენა არ უნდა მოახდინოს კანონიერ წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე, როგორცაა ისეთ პირთან დაკავშირებული წესები, რომელიც მოქმედებს მოვაჭრის სახელით ან მის ნაცვლად (მაგალითად, აგენტი ან მინდობილი მესაკუთრე). წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეინარჩუნონ კომპეტენცია ამ სფეროში. წინამდებარე დირექტივა ვრცელდება ყველა – როგორც საჯარო, ასევე კერძო მოვაჭრეზე.
17. მომხმარებლის განმარტება უნდა მოიცავდეს ფიზიკურ პირებს, რომლებიც მოქმედებენ საკუთარი ვაჭრობის, ბიზნესის, ხელობის ან პროფესიის მიღმა. თუმცა, ორმაგი დანიშნულების მქონე ხელშეკრულებების შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება ნაწილობრივ იდება პირის ვაჭრობის მიზნების ფარგლებში და ნაწილობრივ მათ გარეთ და ვაჭრობის მიზანი იმდენად შეზღუდულია, რომ არ დომინირებს ხელშეკრულების საერთო კონტექსტს, აღნიშნული პირი უნდა ჩაითვალოს მომხმარებლად.
18. წინამდებარე დირექტივა გავლენას არ ახდენს წევრი სახელმწიფოების თავისუფლებაზე, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრონ თუ რას მიიჩნევენ ისინი ზოგადი ეკონომიკური ინტერესის მომსახურებად, თუ როგორ უნდა იყოს აღნიშნული მომსახურება ორგანიზებული და დაფინანსებული სახელმწიფო დახმარების წესების შესაბამისად და რომელ კონკრეტულ ვალდებულებებს უნდა ექვემდებარებოდეს ის.
19. ციფრული კონტენტი გულისხმობს მონაცემებს, რომლებიც წარმოებული და მიწოდებულია ისეთი ციფრული ფორმით, როგორცაა კომპიუტერული პროგრამები, აპლიკაციები, თამაშები, მუსიკა, ვიდეო ან ტექსტები, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ხორციელდება მათი მიწოდება – ჩამოტვირთვით ან სტრიმინგით, მატერიალური საშუალების ან სხვა საშუალებების მეშვეობით. წინამდებარე დირექტივის რეგულირების სფერო მოიცავს ციფრული კონტენტის მიწოდებისათვის განკუთვნილ ხელშეკრულებებს. თუ ციფრული კონტენტის მიწოდება ხორციელდება მატერიალური საშუალებით, როგორცაა CD ან DVD, წინამდებარე დირექტივის განმარტებით ის უნდა ჩაითვალოს საქონლად. წყლის, გაზის ან ელექტროენერჯის მიწოდების ხელშეკრულების მსგავსად, როდესაც ისინი არ იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით, ასევე ცენტრალური გათბობის ხელშეკრულების მსგავსად, ხელშეკრულებები ციფრულ კონტენტზე, რომელიც არ მიწოდება მატერიალური საშუალებით, ამ დირექტივის მიზნებისთვის არ უნდა კლასიფიცირდეს არც ნაყიდობის ხელშეკრულებად და არც მომსახურების ხელშეკრულებად. ასეთი ხელშეკრულებებისთვის მომხმარებელს უნდა ჰქონდეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, თუ მას არ განუცხადებია თანხმობა ხელშეკრულების განხორციელების დაწყებაზე, ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდში და არ უღიარებია, რომ ის შესაბამისად დაკარგავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. ზოგად საინფორმაციო მოთხოვნებთან ერთად, მოვაჭრემ მომხმარებელს უნდა აცნობოს ციფრული კონტენტის ფუნქციონალურობისა და ოპერაციულ სისტემასთან შესაბამისი თავსებადობის შესახებ. ფუნქციონალურობის ცნება გულისხმობს იმ გზებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ციფრული კონტენტის გამოყენება, მაგალითად, მომხმარებლის ქვევის მონიტორინგისთვის; ის ასევე გულისხმობს ნებისმიერი ტექნიკური შეზღუდვის არარსებობას ან არსებობას, როგორცაა ციფრული უფლებების მართვა (DRM) ან რეგიონული კოდირება. შესაბამისი თავსებადობის ცნება აღწერს ინფორმაციას სტანდარტული აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის გარემოს შესახებ, რომელთანაც თავსებადია ციფრული კონტენტი, მაგალითად, ოპერაციული სისტემის, საჭირო ვერსიისა და გარკვეული ტექნიკური მახასიათებლების შესახებ. კომისიამ უნდა განიხილოს ციფრულ კონტენტთან დაკავშირებული დებულებების შემდგომი ჰარმონიზაციის საჭიროება და საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს საკანონმდებლო წინადადება ამ საკითხთან დაკავშირებით.
20. დისტანციური ხელშეკრულების განმარტება უნდა მოიცავდეს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც ხელშეკრულება იდება მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის ორგანიზებული დისტანციური გაყიდვების ან მომსახურების მიწოდების სქემის ფარგლებში, დისტანციური კომუნიკაციის ერთი ან მეტი საშუალების ექსკლუზიური გამოყენებით (როგორცაა საფოსტო შეკვეთა, ინტერნეტი, ტელეფონი ან ფაქსი) ხელშეკრულების გაფორმებამდე და მისი გაფორმების დროს. აღნიშნულმა განმარტებამ ასევე უნდა მოიცავს ისეთი სიტუაციები, როდესაც მომხმარებელი სტუმრობს ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსს მხოლოდ საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით და შემდეგ მოლაპარაკებას აწარმოებს და ხელშეკრულებას დებს დისტანციურად. საპირისპიროდ, მოვაჭრის ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსში წარმოებული ხელშეკრულება, რომელიც საბოლოოდ იდება დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით შესაძლებელია არ ჩაითვალოს დისტანციურ ხელშეკრულებად. ასევე დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით ინიცირებული ხელშეკრულება, რომელიც საბოლოოდ დაიდო მოვაჭრის ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსში, არ ჩაითვლება დისტანციური ხელშეკრულებად. ანალოგიურად, დისტანციური ხელშეკრულების ცნება არ უნდა მოიცავდეს მომხმარებლის ჯავშნებს დისტანციური კომუნიკაციის საშუალებებით, პროფესიონალის მხრიდან მომსახურების გაწევის მოთხოვნის მიზნით, როგორცაა მომხმარებლის მიერ დარეკვა პარიკმახერთან

- შეხვედრის დანიშნვის მოთხოვნით. ორგანიზებული დისტანციური გაყიდვების ან მომსახურების მიწოდების სქემის ცნება უნდა მოიცავდეს ისეთ სქემებს, რომლებიც შემოთავაზებულია მესამე მხარის მიერ, გარდა მოვაჭრისა, მაგრამ გამოიყენება მოვაჭრის მიერ, მაგალითად, როგორცაა ონლაინ პლატფორმა. თუმცა, ის არ უნდა მოიცავდეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ვებგვერდზე შემოთავაზებულია მხოლოდ ინფორმაცია მოვაჭრის, მისი საქონლის ან/და მომსახურების და მისი რეკვიზიტების შესახებ.
21. ქუჩაში დადებული ხელშეკრულება უნდა განისაზღვროს როგორც ხელშეკრულება, რომელიც იდება მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის, მათი ერთდროული ფიზიკური დასწრებით, იმ ადგილას, რომელიც არ წარმოადგენს მოვაჭრის ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსს, მაგალითად, მომხმარებლის სახლში ან სამუშაო ადგილზე. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების კონტექსტში, მომხმარებელი შესაძლოა იყოს პოტენციური ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ ან წააწყდეს მოულოდნელობის ელემენტს, მიუხედავად იმისა, მოითხოვა თუ არა მომხმარებელმა მოვაჭრის ვიზიტი. ქუჩაში დადებული ხელშეკრულება ასევე მოიცავს ისეთ შემთხვევებს, რომლის დროსაც მომხმარებელს პირადად და ინდივიდუალურად მიმართეს ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსის გარეთ, მაგრამ შემდგომ ხელშეკრულება დაუყოვნებლივ დაიდო მოვაჭრის ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსში ან დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების განმარტება არ უნდა მოიცავდეს ისეთ შემთხვევებს, რომლის დროსაც მოვაჭრე ჯერ მიდის მომხმარებლის სახლში მხოლოდ ზომის აღების ან სავარაუდო ხარჯის დასახელების მიზნით, მომხმარებლის მიმართ ვალდებულების აღების გარეშე და როდესაც ხელშეკრულება იდება მოგვიანებით, მოვაჭრის ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსში ან დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით, მოვაჭრის მიერ დასახელებული სავარაუდო ხარჯების საფუძველზე. აღნიშნულ შემთხვევებში, ხელშეკრულება არ მიიჩნევა მოვაჭრის მომხმარებლისადმი მიმართვის შემდეგ დაუყოვნებლივ დადებულ ხელშეკრულებად, თუ მომხმარებელს ხელშეკრულების დადებამდე გააჩნდა მომხმარებლის მიერ დასახელებულ სავარაუდო ხარჯებზე ფიქრის დრო. მოვაჭრის მიერ ორგანიზებული ექსკურსიის დროს განხორციელებული შესყიდვები, რომლის დროსაც რეკლამირებული და შეთავაზებული იყო შეძენილი პროდუქცია, ითვლება ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებად.
 22. ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსი უნდა მოიცავდეს ნებისმიერი ფორმის შენობა-ნაგებობების კომპლექსებს (როგორცაა მაღაზიები, დახლები ან სატვირთო მანქანები), რომლებიც მოვაჭრისათვის ასრულებს საქმიანობის განხორციელების მუდმივ ან ჩვეულებრივ ადგილს. ბაზრის დახლები და სტენდები უნდა ჩაითვალოს ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსად, თუ ისინი ასრულებს აღნიშნულ პირობას. საცალო ვაჭრობის შენობა-ნაგებობების კომპლექსი, რომელშიც მომხმარებელი ახორციელებს საკუთარ საქმიანობას სეზონურ დონეზე, მაგალითად, სათხილამურო ან სანაპირო კურორტებზე ტურისტული სეზონის დროს, უნდა ჩაითვალოს ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსად, ვინაიდან მოვაჭრე ჩვეულებრივ ახორციელებს საკუთარ საქმიანობას აღნიშნული კომპლექსის ტერიტორიაზე. საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი სივრცეები, როგორცაა ქუჩები, სავაჭრო ცენტრები, პლაჟები, სპორტული კომპლექსები და საჯარო ტრანსპორტი, რომელთაც მოვაჭრე იყენებს გამონაკლისის სახით საკუთარი სამეწარმეო საქმიანობებისთვის, ასევე კერძო სახლები და სამუშაო სივრცეები, არ უნდა ჩაითვალოს ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსად. პირის ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსი, რომელიც წინამდებარე დირექტივის შესაბამისად მოქმედებს მოვაჭრის სახელით ან მის ნაცვლად, უნდა ჩაითვალოს ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსად, წინამდებარე დირექტივის შინაარსის შესაბამისად.
 23. ხანგამძლე მატარებლები მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეინახოს ინფორმაცია იმდენი ხნის განმავლობაში, რამდენიც საჭიროა მისი ინტერესების დასაცავად, მისი მოვაჭრესთან ურთიერთობიდან გამომდინარე. ასეთი საშუალებები უნდა მოიცავდეს, კერძოდ, ქაღალდს, USB ფლეშ-მეხსიერებას, CD-ROM-ს, DVD-ს, მეხსიერების ბარათებს, კომპიუტერის მყარ დისკს და ასევე ელექტრონულ ფოსტას.
 24. საჯარო აუქციონი გულისხმობს, რომ მოვაჭრეები და მომხმარებლები ესწრებიან ან საშუალება აქვთ პირადად დაესწრონ აუქციონს. მოვაჭრე მომხმარებელს სთავაზობს საქონელს ან მომსახურებას საჯარო ვაჭრობის პროცედურის საშუალებით, რომელიც ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში კანონით არის ავტორიზებული, საჯარო რეალიზაციისას საქონლის ან მომსახურების შეთავაზების მიზნით. წარმატებული პრეტენდენტი ვალდებულია შეიძინოს საქონელი ან მომსახურება. აუქციონის მიზნებისთვის ონლაინ პლატფორმების გამოყენება, რომლებიც მომხმარებელთა და მოვაჭრეთა განკარგულებაშია, არ უნდა ჩაითვალოს საჯარო აუქციონად, წინამდებარე დირექტივის განმარტებით.
 25. წინამდებარე დირექტივა უნდა მოიცავდეს ცენტრალურ გათბობასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს, წყლის, გაზისა და ელექტროენერჯიის მიწოდებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების მსგავსად. ცენტრალური გათბობა გულისხმობს სითბოს მიწოდებას, მათ შორის, ორთქლის ან ცხელი წყლის ფორმით, წარმოების ცენტრალური წყაროდან რამდენიმე შენობამდე გადამცემი და განაწილების სისტემების საშუალებით, გათბობის მიზნით.
 26. ხელშეკრულებები, რომლებიც დაკავშირებულია უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემასთან, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული უფლებების გადაცემასთან ან ასეთი უძრავი ქონების ან უფლებების შექმნასა და შექმნასთან, ხელშეკრულებები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი შენობების მშენებლობასთან ან არსებული შენობების არსებით ცვლილებასთან, ასევე ხელშეკრულებები, რომლებიც დაკავშირებულია ცხოვრების მიზნით საცხოვრებლის დაქირავებასთან უკვე ექვემდებარება რიგ სპეციალურ მოთხოვნებს ეროვნულ კანონმდებლობაში. აღნიშნული ხელშეკრულებები, მაგალითად, მოიცავს დაუსრულებელი უძრავი ქონების რეალიზაციას და განვადებით გაყიდვას. წინამდებარე დირექტივის დებულებები არ შეესაბამება აღნიშნულ ხელშეკრულებებს, რომლებიც შესაბამისად უნდა გამოირიცხოს დირექტივის რეგულირების სფეროდან. არსებითი ცვლილება გულისხმობს ცვლილებას, რომელიც შეედრება ახალი შენობის მშენებლობას, მაგალითად, როდესაც ძველ შენობაში ნარჩუნდება მხოლოდ მისი ფასადი. მომსახურების ხელშეკრულებები, კერძოდ, ისინი, რომლებიც

- უკავშირდება შენობაზე მინაშენის მშენებლობას (მაგალითად, ავტოფარების ან ვერანდის) და რომლებიც უკავშირდება შენობების რემონტსა და განახლებას, გარდა მისი არსებითი ცვლილებისა, უნდა შევიდეს წინამდებარე დირექტივის რეგულირების სფეროში, ასევე ხელშეკრულებები, რომლებიც უკავშირდება უძრავი ქონების აგენტის მომსახურებას და საცხოვრებლის ქირავნობას არასაცხოვრებელი მიზნებისთვის.
27. სატრანსპორტო მომსახურება მოიცავს მგზავრთა და საქონლის ტრანსპორტირებას. მგზავრთა ტრანსპორტირება უნდა გამოირიცხოს წინამდებარე დირექტივის რეგულირების სფეროდან, ვინაიდან ის უკვე ექვემდებარება ევროკავშირის სხვა კანონმდებლობას, ან საჯარო ტრანსპორტისა და ტაქსის შემთხვევაში, სახელმწიფო დონეზე რეგულაციას. თუმცა, წინამდებარე დირექტივის დებულებები, რომლებიც მომხმარებლებს იცავს გადაჭარბებული საფასურისგან, გადახდის საშუალებების გამოყენებისას, ან ფარული ხარჯებისგან, ასევე ვრცელდება მომხმარებელთა გადაყვანის ხელშეკრულებებზე. საქონლის ტრანსპორტირებასა და მანქანის ქირავნობასთან დაკავშირებით, როდესაც ისინი წარმოადგენს მომსახურებას, მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ წინამდებარე დირექტივით უზრუნველყოფილი დაცვით სარგებლობა, გარდა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებისა.
28. მოვაჭრეებზე ადმინისტრაციული ტვირთის დაკისრების თავიდან აცილების მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია გადაწყვიტონ წინამდებარე დირექტივის არ გამოყენება, მცირე ღირებულების საქონლის ან მომსახურების რეალიზაციისას ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსის გარეთ. ფულადი ზღვარი უნდა განისაზღვროს საკმარისად დაბალ დონეზე, რათა გამოირიცხოს მხოლოდ მცირე მნიშვნელობის შესყიდვები. წევრ სახელმწიფოებს უნდა მიეცეთ აღნიშნული ღირებულების განსაზღვრის საშუალება თავიანთ ეროვნული კანონმდებლობაში, იმ პირობით, რომ ის არ გადააჭარბებს 50 ევროს. როდესაც მომხმარებელი ერთდროულად დებს ორი ან მეტი მონათესავე საგნის მქონე ხელშეკრულებას, გათვალისწინებული უნდა იყოს საერთო ღირებულება აღნიშნული ზღვრული მნიშვნელობის გამოყენების მიზნით.
29. სოციალურ მომსახურებას გააჩნია ფუნდამენტურად განსხვავებული მახასიათებლები, რომლებიც აისახება სექტორისთვის სპეციფიკურ კანონმდებლობაში, ნაწილობრივ ევროკავშირის დონეზე და ნაწილობრივ სახელმწიფო დონეზე. სოციალური მომსახურება, ერთის მხრივ, მოიცავს განსაკუთრებით მოწყვლად ან დაბალი შემოსავლის მქონე პირებს, ისევე როგორც პირებსა და ოჯახებს, რომელთაც სჭირდებათ დახმარება რუტინის, ყოველდღიური ამოცანების შესასრულებლად, მეორეს მხრივ, მოიცავს მომსახურებას ყველა პირისთვის, რომელთაც სჭირდებათ განსაკუთრებული დახმარება, მხარდაჭერა, დაცვა ან წახალისება ცხოვრების კონკრეტულ ეტაპზე. სოციალური მომსახურება, მათ შორის, მოიცავს ბავშვებისა და ახალგაზრდების მომსახურებას, ოჯახების, მარტოხელა მშობლებისა და ხანდაზმული პირებისათვის დახმარების გაწევას და მომსახურებას მიგრანტებისთვის. სოციალური მომსახურება მოიცავს როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან მოვლის სამსახურს, მაგალითად, შინ მოვლის სამსახურის მიერ გაწეულ მომსახურებას ან მომსახურებას ხანდაზმულთა პანსიონატებში, საცხოვრებელ სახლებსა თუ შენობებში (საექთნო მოვლის დაწესებულებებში). სოციალური მომსახურება მოიცავს არა მხოლოდ სახელმწიფოსგან ეროვნულ, რეგიონალურ ან ადგილობრივ დონეზე უზრუნველყოფილ მომსახურებას, სახელმწიფოს ან სახელმწიფოს აღიარებული საქველმოქმედო დაწესებულებების მიერ დავალებული პროვაიდერებისგან, არამედ კერძო ოპერატორებისგან უზრუნველყოფილ მომსახურებასაც. წინამდებარე დირექტივის დებულებები არ შეესაბამება სოციალურ მომსახურებას, რომელიც შესაბამისად უნდა გამოირიცხოს დირექტივის რეგულირების სფეროდან.
30. ჯანმრთელობის დაცვა მოითხოვს განსაკუთრებულ რეგულაციებს, მისი ტექნიკური კომპლექსურობიდან, მისი, როგორც ზოგადი ინტერესის მომსახურების მნიშვნელობიდან და ასევე მისი ფართო საჯარო დაფინანსებიდან გამომდინარე. ჯანმრთელობის დაცვა განისაზღვრება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 9 მარტის დირექტივით 2011/24/EU ტრანსსასაზღვრო ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პაციენტების უფლებების გამოყენების შესახებ⁹ როგორც „ჯანდაცვის პროფესიონალების მიერ უზრუნველყოფილი ჯანმრთელობის მომსახურება პაციენტებისათვის, მათი ჯანმრთელობის შესაფასებლად, შესანარჩუნებლად და აღსადგენად, რაც ასევე მოიცავს ექიმის დანიშნულებას, წამლების განაწილებას და სამკურნალო პრეპარატებითა და სამედიცინო ტექნიკით უზრუნველყოფას.“ ჯანდაცვის პროფესიონალი განისაზღვრება აღნიშნულ დირექტივაში, როგორც მედიცინის დოქტორი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი, სტომატოლოგიური პრაქტიკოსი, ბეზიაქალი ან ფარმაცევტი, პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის დირექტივის 2005/36/EC¹⁰ განმარტებით, ან როგორც პროფესიონალი, რომელიც ახორციელებს საქმიანობას ჯანმრთელობის დაცვის სექტორში, რომელიც არის შეზღუდული რეგულირებად პროფესიად, დირექტივის 2005/36/EC მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის (a) ქვეპუნქტის განმარტებით, ან როგორც პირი, რომელიც მიიჩნევა ჯანდაცვის პროფესიონალად იმ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც ხორციელდება მკურნალობა. წინამდებარე დირექტივის დებულებები არ შეესაბამება ჯანმრთელობის დაცვას, რომლებიც, შესაბამისად, უნდა გამოირიცხოს დირექტივის რეგულირების სფეროდან.
31. აზარტული თამაშები უნდა გამოირიცხოს წინამდებარე დირექტივის მოქმედების სფეროდან. აზარტული თამაშები მოიცავს ფულადი ღირებულებით სანადლეოს დადებას მომგებიან თამაშობებში, მათ შორის ლატარიაში, კაზინოს აზარტულ თამაშებსა და სანადლეო გარიგებებში. წევრ სახელმწიფოებს უნდა შეეძლოთ მომხმარებელთა დაცვის სხვა, მათ შორის, უფრო მკაცრი ზომების მიღება ასეთ საქმიანობებთან დაკავშირებით.
32. ევროკავშირის არსებული კანონმდებლობა, მათ შორის, მომხმარებლის ფინანსურ მომსახურებასთან, საგზურით მოგზაურობასა და თაიმშერთან დაკავშირებული კანონმდებლობა, მოიცავს მრავალ წესს მომხმარებელთა დაცვის შესახებ. ამ მიზეზით, წინამდებარე დირექტივა არ ვრცელდება ამ სფეროში არსებულ ხელშეკრულებებზე. ფინანსურ მომსახურებასთან მიმართებით, წევრმა სახელმწიფოებმა მაგალითი უნდა აიღონ აღნიშნულ სფეროში ევროკავშირის არსებული კანონმდებლობიდან, ევროკავშირის დონეზე დაურეგულირებელი სფეროების დარეგულირების დროს, ისე, რომ ფინანსურ მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა მომხმარებელსა და

- ხელშეკრულებას შეუქმნან თანაბარი პირობები.
33. მოვაჭრე ვალდებულია წინასწარ აცნობოს მომხმარებელს ნებისმიერი შეთანხმების შესახებ, რომელიც იწვევს მომხმარებლის მიერ მოვაჭრისთვის დეპონირებას, მათ შორის შეთანხმების შესახებ, როდესაც მომხმარებლის საკრედიტო ან სადებიტო ბარათზე იბლოკება თანხა.
 34. მოვაჭრემ მომხმარებელს უნდა მისცეს ნათელი და ყოვლისმომცველი ინფორმაცია მანამ, სანამ მომხმარებელი შეიზღუდება დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებით, ხელშეკრულებით, რომელიც არ წარმოადგენს დისტანციურ და ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებას ან სხვა შესაბამისი შეთავაზებით. აღნიშნული ინფორმაციის უზრუნველყოფით, მოვაჭრემ იმგვარად უნდა გაითვალისწინოს იმ მომხმარებლების სპეციფიკური საჭიროებები, რომლებიც არიან განსაკუთრებით მოწყვლადი, თავიანთი გონებრივი, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური სისუსტის, ასაკის ან გულუბრყვილობის გამო, რისი განჭვრეტაც გონივრულადაა შესაძლებელია მოვაჭრისთვის. თუმცა, ასეთი სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინება არ უნდა იწვევდეს მომხმარებელთა დაცვის განსხვავებულ დონეებს.
 35. მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის უზრუნველსაყოფი ინფორმაცია უნდა იყოს სავალდებულო და არ უნდა შეიცვალოს. მიუხედავად ამისა, სახელშეკრულებო მხარეებს უნდა შეეძლოთ პირდაპირ გამოხატონ თანხმობა უკვე დადებული ხელშეკრულების შინაარსის შეცვლაზე, მაგალითად, მიწოდების შეთანხმებისა.
 36. დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევაში, საინფორმაციო მოთხოვნები უნდა ადაპტირდეს გარკვეული საშუალებების ტექნიკური შეზღუდვების გათვალისწინებით, როგორცაა გარკვეულ მობილურ ტელეფონებში ეკრანზე სიმბოლოთა რაოდენობის შეზღუდვები ან დროის შეზღუდვები სატელევიზიო გაყიდვებზე. ასეთ შემთხვევებში, მოვაჭრემ უნდა დაიცვას საინფორმაციო მოთხოვნების მინიმალური დონე და მომხმარებელს მიუთითოს ინფორმაციის დამატებითი წყარო, მაგალითად, უფასო სატელეფონო ნომერი ან მოვაჭრის ვებგვერდის ბმული, სადაც შესაბამისი ინფორმაცია პირდაპირ და მარტივად არის ხელმისაწვდომი. რაც შეეხება მომხმარებლის ინფორმირების მოთხოვნას, ისეთი საქონლის დაბრუნების ღირებულების შესახებ, რომელიც, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია დაბრუნებული იქნეს ფოსტის საშუალებით, ის განიხილება შესრულებულად, მაგალითად, თუ მოვაჭრე საქონლის დაბრუნების ღირებულებასთან დაკავშირებით განსაზღვრავს ერთ გადამზიდს (მაგალითად, იმას, რომელიც თავად დანიშნა საქონლის მიწოდებისთვის) და ერთ საფასურს. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის დაბრუნების ღირებულებას მოვაჭრე წინასწარ ვერ ანგარიშობს, მაგალითად, იმიტომ, რომ მოვაჭრეს არ ჰქონდა საქონლის დაბრუნების მოგვარება შეთავაზებული, მოვაჭრემ უნდა წარადგინოს განცხადება იმის შესახებ, რომ ღირებულება ექვემდებარება გადახდას და შესაძლებელია იყოს მაღალი, მაქსიმალური ღირებულების გონივრულ შეფასებასთან ერთად, რომელიც შესაძლებელია დაფუძნებული იყოს მომხმარებლისთვის მიწოდების ღირებულებაზე.
 37. ვინაიდან დისტანციური გაყიდვების შემთხვევაში მომხმარებელს ხელშეკრულების დადებამდე არა აქვს საქონლის ნახვის საშუალება, მას უნდა ჰქონდეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება. იმავე მიზეზით, მომხმარებელს უნდა გააჩნდეს მის მიერ შეძენილი საქონლის შემოწმებისა და ინსპექტირების უფლება, იმ დონემდე, რაც აუცილებელია საქონლის თვისებების, მახასიათებლებისა და ფუნქციონირების დასადგენად. ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, მომხმარებელს უნდა ჰქონდეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, პოტენციური მოულოდნელობის ელემენტის ან/და ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო. ხელშეკრულებიდან გასვლა უნდა წყვეტდეს სახელშეკრულებო მხარეების მოვალეობას ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით.
 38. სავაჭრო ვებგვერდებზე, არაუგვიანეს შეკვეთის პროცესის დასაწყისში, ნათლად და მკაფიოდ უნდა მიეთითოს, ვრცელდება თუ არა მიწოდების რომელიმე შეზღუდვა და გადახდის რომელი საშუალებებია მისაღები.
 39. ვებგვერდების საშუალებით დადებული დისტანციური ხელშეკრულებებისთვის მნიშვნელოვანია, რომ შეკვეთის განთავსებამდე უზრუნველყოფილი იყოს მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების ძირითადი ელემენტების სრულად წაკითხვა და გააზრება. ამ მიზნით, წინამდებარე დირექტივაში უნდა შეიქმნას დებულება, რათა აღნიშნული ელემენტები განთავსდეს შეკვეთის განთავსებისთვის მოთხოვნილ დასტურთან ახლოს. ასევე მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ აღნიშნულ სიტუაციებში მომხმარებელს შეეძლოს იმ მომენტის განსაზღვრა, რომელშიც ის იღებს მოვაჭრისათვის გადახდის ვალდებულებას. შესაბამისად, მომხმარებლის ყურადღება, ცალსახა ფორმულაციის საშუალებით, პირდაპირ უნდა იყოს მიპყრობილი იმ ფაქტზე, რომ შეკვეთის განთავსება იწვევს მოვაჭრისათვის გადახდის ვალდებულებას.
 40. ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდის არსებული ხანგრძლივობები, როგორც წევრ სახელმწიფოებს შორის, ასევე დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებებისთვის იწვევს სამართლებრივ ბუნდოვანებას და შესაბამისობის ხარჯებს. ხელშეკრულებიდან გასვლის იგივე პერიოდი უნდა ვრცელდებოდეს ყველა დისტანციურ და ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე. მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდი იწურება ხელშეკრულების დადებიდან 14 დღის გასვლის შემდეგ. ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდი იწურება 14 დღის გასვლის შემდეგ, იმ დღიდან, როდესაც მომხმარებელი ან მომხმარებლის მიერ მითითებული მესამე მხარე, რომელიც არ წარმოადგენს გადამზიდს, იძენს საქონლის ფიზიკურ მფლობელობას. გარდა ამისა, მომხმარებელს უნდა შეეძლოს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება საქონლის ფიზიკური მფლობელობის შექმნამდე. როდესაც მომხმარებელს სხვადასხვა საქონელი აქვს შეკვეთილი ერთ შეკვეთაში, მაგრამ მათი მიწოდება ხორციელდება ცალ-ცალკე, ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდი იწურება მომხმარებლის მიერ საბოლოო საქონელზე ფიზიკური მფლობელობის მოპოვების დღიდან 14 დღის გასვლის შემდეგ. როდესაც საქონლის მიწოდება ხორციელდება რამდენიმე პარტიად ან ნაწილად, ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდი იწურება მომხმარებლის მიერ საბოლოო პარტიაზე ან ნაწილზე ფიზიკური მფლობელობის მოპოვების დღიდან 14 დღის გასვლის შემდეგ.

41. სამართლებრივი სიცხადის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია, საბჭოს 1971 წლის 3 ივნისის რეგულაცია (EEC, ევრატივი) No 1182/71, რომელიც განსაზღვრავს წესებს პერიოდების, თარიღებისა და ვადების შესახებ¹¹ გამოიყენებული იქნეს წინამდებარე დირექტივაში მოცემული პერიოდების გამოსათვლელად. შესაბამისად, წინამდებარე დირექტივაში მოცემული ყველა პერიოდი გამოხატული უნდა იყოს კალენდარული დღეებით. როდესაც დღეებით გამოხატული პერიოდი გამოითვლება მოვლენის დადგომის ან მოქმედების განხორციელების მომენტიდან, აღნიშნული მომენტის დადგომისა და მოქმედების განხორციელების დღე არ უნდა ჩაითვალოს აღნიშნული პერიოდის ნაწილად.
42. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებასთან დაკავშირებული დებულებები არ უნდა ზღუდავდნენ წევრი სახელმწიფოების კანონებსა და რეგულაციებს, რომლებიც არეგულირებს ხელშეკრულების შეწყვეტას ან შეუსრულებლობას ან მომხმარებლის შესაძლებლობას, შეასრულოს საკუთარი სახელშეკრულებო ვალდებულებები, ხელშეკრულებაში განსაზღვრულ დრომდე.
43. თუ მოვაჭრემ მომხმარებელს ადეკვატურად არ მიაწოდა ინფორმაცია დისტანციური ან ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადებამდე, ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდი უნდა გახანგრძლივდეს. თუმცა, ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდის ხანგრძლივობასთან მიმართებაში, სამართლებრივი სიცხადის უზრუნველსაყოფად, უნდა შეიქმნას 12 თვიანი ხანდაზმულობის ვადა.
44. სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების გზებს შორის განსხვავებები, ტრანსსასაზღვრო რეალიზაციისას, მოვაჭრეებისთვის იწვევს ხარჯს. ხელშეკრულებიდან გასვლის ტიპიური ჰარმონიზებული ფორმის დანერგვა, რომლის გამოყენებაც მომხმარებელს შეეძლება, გაამარტივებს გასვლის პროცესს და გამოიწვევს სამართლებრივ სიცხადეს. აღნიშნული მიზეზების გამო, წევრმა სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ევროკავშირის მასშტაბის ტიპიურ მოდელში წარსადგენი მოთხოვნების დამატებისგან, რომელიც, მაგალითად, უკავშირდება შრიფტის ზომას. თუმცა, მომხმარებელს უნდა შეუნარჩუნდეს ხელშეკრულებიდან საკუთარი გადაწყვეტილებით გასვლის უფლება, იმ პირობით, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის გადაწყვეტილება, რომელიც მოცემულია მოვაჭრის მიმართ მის განცხადებაში, ცალსახაა. წერილი, ტელეფონის ზარი ან საქონლის დაბრუნება მკაფიო განცხადებით შეასრულებდა აღნიშნულ მოთხოვნას, თუმცა ხელშეკრულებიდან დირექტივით განსაზღვრულ ვადებში გასვლის მტკიცების ტვირთი ეკისრება მომხმარებელს. ამ მიზეზით, მომხმარებლის ინტერესს წარმოადგენს გრძელვადიანი მოხმარების საშუალების გამოყენება, მოვაჭრისთვის მისი ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინებისას.
45. როგორც გამოცდილებიდან ჩანს, ბევრი მომხმარებელი და მოვაჭრე ირჩევს შუამავალი ვებგვერდის საშუალებით კომუნიკაციას, ამიტომ მოვაჭრეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ მომხმარებელს მისცეს ხელშეკრულებიდან გასვლის ინტერნეტზე დაფუძნებული ფორმის შევსების ოფცია. ასეთ შემთხვევაში, მოვაჭრემ დაუყოვნებლივ უნდა წარადგინოს მიღების დასტური, მაგალითად, ელექტრონული ფოსტის საშუალებით, დაუყოვნებლივ.
46. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, მოვაჭრემ უნდა აანაზღაუროს მომხმარებლის ყველა გადასახადი, მათ შორის, მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის საქონლის მიწოდების მიზნით გაწეული ხარჯები. ანაზღაურება არ უნდა განხორციელდეს ვაუჩერის საშუალებით, თუ მომხმარებელმა საწყისი გარიგებისას არ გამოიყენა ვაუჩერები ან პირდაპირ გამოხატა თანხმობა მათ მიღებაზე. თუ მომხმარებელი პირდაპირ აირჩევს მიწოდების გარკვეულ ტიპს (მაგალითად, 24 საათიან სასწრაფო მიწოდებას), მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელმა შესთავაზა მიწოდების გავრცელებული და ზოგადად მისაღები ტიპი, რომელიც გამოიწვევდა მიწოდების ნაკლები ხარჯის გაწევას, მომხმარებელმა უნდა იკისროს აღნიშნული ორი ტიპის მიწოდების ხარჯებს შორის განსხვავება.
47. ზოგიერთი მომხმარებელი ხელშეკრულებიდან გასვლის საკუთარ უფლებას ახორციელებს საქონლის იმ დონეზე გამოყენების შემდეგ, რომელიც აუცილებელზე მეტია საქონლის თვისებების, მახასიათებლებისა და ფუნქციონირების დასადგენად. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი არ კარგავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, მაგრამ პასუხისმგებელია საქონლის შემცირებულ ღირებულებაზე. საქონლის თვისებების, მახასიათებლებისა და ფუნქციონირების დადგენის მიზნით, მომხმარებელმა ისე უნდა ნახოს და შეამოწმოს საქონელი, როგორც მაღაზიაში ექნებოდა მას ამის უფლება. მაგალითად, მომხმარებელს შეუძლია ტანსაცმლის მოსინჯვა, მაგრამ არ აქვს მისი ხმარების უფლება. შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდში მომხმარებელმა უნდა ნახოს და შეამოწმოს საქონელი სათანადო სიფრთხილით. ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მომხმარებელთა ვალდებულებებმა არ უნდა შეაჩეროს მომხმარებელი განახორციელოს ხელშეკრულებიდან გასვლის საკუთარი უფლება.
48. მომხმარებელი ვალდებულია უკან გაგზავნოს საქონელი, არაუგვიანეს 14 დღისა, ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ მომხმარებლის ინფორმირების შემდეგ. იმ შემთხვევებში, როდესაც მოვაჭრე ან მომხმარებელი არ ასრულებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, გამოიყენებულ უნდა იქნეს ეროვნული კანონმდებლობის მიერ, წინამდებარე დირექტივის შესაბამისად უზრუნველყოფილი პირგასამტეხლოები, ასევე სახელშეკრულებო სამართალის დებულებები.
49. უნდა არსებობდეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გარკვეული გამოწვევის შემთხვევები, როგორც დისტანციური, ასევე ქუჩაში დადებული ხელშეკრულებებისთვის. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება შესაძლებელია იყოს შეუფერებელი, მაგალითად, გარკვეული საქონლის ან მომსახურების ხასიათის გათვალისწინებით. ეს შემთხვევა ეხება, მაგალითად, სპეკულაციური ხასიათის ხელშეკრულების დადებიდან დიდი დროის გასვლის შემდეგ მიწოდებულ ღვინოს, როდესაც ღირებულება დამოკიდებულია ბაზარზე ფასების მერყეობაზე („vin en primeur“). ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არ ვრცელდება არც მომხმარებლის სპეციფიკაციებით დამზადებულ ან გარკვევით პერსონალიზებულ საქონელზე, მაგალითად, შეკვეთით დამზადებული ფარდები, ასევე არც საწვავის მიწოდებაზე, მაგალითად, რომელიც წარმოადგენს საქონელს და თვისებრივად განუყოფლად არის შერეული სხვა ნივთიერებასთან, მისი მიწოდების შემდეგ. მომხმარებლისთვის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მიცემა

შესაძლებელია იყოს შეუფერებელი გარკვეული მომსახურებების შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების დადება გულისხმობს ისეთი მოცულობის გათვალისწინებას, რომლის შევსება მოვაჭრისთვის იქნება რთული, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების შემთხვევაში. ეს, მაგალითად, იქნება ისეთი შემთხვევა, როდესაც ხორციელდება ჯავშნები სასტუმროებში ან დასასვენებელ კოტეჯებთან ან კულტურულ ან სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ შემთხვევებში.

50. ერთის მხრივ, მომხმარებელი უნდა სარგებლობდეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით, მაშინაც კი, თუ მან მოითხოვა მომსახურების უზრუნველყოფა ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდის დასრულებამდე. მეორეს მხრივ, თუ მომხმარებელი ახორციელებს ხელშეკრულებიდან გასვლის საკუთარ უფლებას, მოვაჭრეს უნდა მიეცეს იმის გარანტია, რომ მის მიერ უზრუნველყოფილი მომსახურება ადეკვატურად ანაზღაურდება. თანაზომიერი რაოდენობის გამოთვლა დაფუძნებული უნდა იყოს ხელშეკრულებაში შეთანხმებულ საფასურზე, თუ მომხმარებელი თავად არ დაადასტურებს, რომ ჯამური ფასი თავისთავად არათანაზომიერია, რომელ შემთხვევაშიც გადასახდელი რაოდენობა უნდა გამოითვალოს მიწოდებული მომსახურების საბაზრო ღირებულების საფუძველზე. საბაზრო ღირებულება უნდა განისაზღვროს სხვა მოვაჭრეების მიერ გაწეული ეკვივალენტი მომსახურების ფასთან შედარებით, ხელშეკრულების დადების დროს. შესაბამისად, მომხმარებელმა უნდა მოითხოვოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდის დასრულებამდე, მოთხოვნის პირდაპირ წაყენებით და ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, ხანგამძლე მატარებელზე. ანალოგიურად, მოვაჭრემ მომხმარებელს ხანგამძლე მატარებელზე უნდა აცნობოს გაწეული მომსახურების თანაზომიერი ღირებულების გადახდის ვალდებულების შესახებ. იმ ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომელთა ობიექტსაც წარმოადგენს როგორც საქონელი, ასევე მომსახურება, საქონლის ასპექტზე უნდა გავრცელდეს წინამდებარე დირექტივით უზრუნველყოფილი წესები საქონლის დაბრუნების შესახებ და მომსახურების ასპექტზე უნდა გავრცელდეს კომპენსაციის რეჟიმი.
51. ძირითადი სირთულეები, რომელთაც მომხმარებლები აწყდებიან და გამყიდველებთან მათი დავების ძირითადი წყარო ეხება საქონლის მიწოდებას, მათ შორის, საქონლის დაკარგვას ან დაზიანებას ტრანსპორტირების დროს ან მის ნაწილობრივ მიწოდებას. შესაბამისად, მიწოდების განხორციელების დროს მიზანშეწონილია ეროვნული წესების დაზუსტება და ჰარმონიზაცია. მიწოდების ადგილი და მოდალობები, საქონელზე საკუთრების გადაცემის პირობების განსაზღვრასთან დაკავშირებული წესები და მომენტი, როდესაც ასეთი გადაცემა ხორციელდება, უნდა დარჩეს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დაქვემდებარებაში და შესაბამისად, წინამდებარე დირექტივა არ ახდენს მასზე გავლენას. წინამდებარე დირექტივაში მოცემული, მიწოდებასთან დაკავშირებული წესები უნდა მოიცავდეს შესაძლებლობას მომხმარებლისთვის, მისცეს მესამე მხარეს უფლება მისი სახელით მოიპოვოს ფიზიკური მფლობელობა ან კონტროლი საქონელზე. უნდა ჩაითვალოს, რომ მომხმარებელს გააჩნია კონტროლი საქონელზე, როდესაც მას ან მის მიერ მითითებულ მესამე მხარეს გააჩნია წვდომა საქონელზე, გამოიყენოს ის როგორც მესაკუთრემ ან გააჩნია საქონლის გადაყიდვის შესაძლებლობა (მაგალითად, როდესაც მას აქვს მიღებული გასაღები ან გააჩნია საკუთრების დოკუმენტები).
52. ნასყიდობის ხელშეკრულების კონტექსტში, საქონლის მიწოდება შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე გზით – ან დაუყოვნებლივ ან მოგვიანებით. თუ მხარეები არ შეთანხმებულან მიწოდების განსაზღვრულ თარიღზე, მოვაჭრემ შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა განახორციელოს საქონლის მიწოდება, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ხელშეკრულების დადების დღიდან არაუგვიანეს 30 დღისა. დაგვიანებულ მიწოდებასთან დაკავშირებული წესები ასევე უნდა ითვალისწინებდეს მომხმარებლისთვის სპეციალურად წარმოებულ და შექმნილ საქონელს, რომლის მეორადი გამოყენება მოვაჭრის მიერ შეუძლებელია მნიშვნელოვანი ზარალის გარეშე. შესაბამისად, წესი, რომელიც მოვაჭრეს გარკვეულ გარემოებებში აძლევს გონივრულ დამატებითი დროის მონაკვეთს, უზრუნველყოფილია წინამდებარე დირექტივით. როდესაც მოვაჭრე ვერ ასრულებს საქონლის მიწოდებას მომხმარებელთან შეთანხმებული დროის მონაკვეთის ფარგლებში მანამ, სანამ მომხმარებელს ექნება ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება, მან უნდა მოუწოდოს მოვაჭრეს, განახორციელოს მიწოდება გონივრული დამატებითი დროის მონაკვეთში და მომხმარებელს ექნება ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება, თუ მოვაჭრე ვერც დამატებითი დროის მონაკვეთში ვერ განახორციელებს საქონლის მიწოდებას. თუმცა, აღნიშნული წესი არ ვრცელდება, როდესაც მოვაჭრე უარს აცხადებს საქონლის მიწოდებაზე, ცალსახა განცხადების მეშვეობით. ის ასევე არ ვრცელდება გარკვეული გარემოებების დროს, როდესაც საქონლის მიწოდების პერიოდი არის მნიშვნელოვანი, მაგალითად, საქორწილო კაბის შემთხვევაში, რომლის მიწოდებაც უნდა განხორციელდეს ქორწინებამდე. ის ასევე არ ვრცელდება იმ გარემოებების დროს, როდესაც მომხმარებელი მოვაჭრეს აცნობებს, რომ განსაზღვრული თარიღისთვის მიწოდება არის აუცილებელი. ამ მიზნისთვის, მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს მოვაჭრის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც წინამდებარე დირექტივის შესაბამისად არის მიცემული. ამ კონკრეტულ შემთხვევებში, თუ მოვაჭრე ვერ ახერხებს საქონლის დროულ მიწოდებას, მომხმარებელს აქვს უფლება დაუყოვნებლივ გაწყვიტოს ხელშეკრულება, თავდაპირველად შეთანხმებული მიწოდების პერიოდის ამოწურვის შემდეგ. წინამდებარე დირექტივა არ უნდა ზღუდავდეს ეროვნულ დებულებებს მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტაზე, საკუთარი სურვილის შესახებ მოვაჭრისათვის შეტყობინების გზებთან დაკავშირებით.
53. წინამდებარე დირექტივის შესაბამისად, მოვაჭრისგან საქონლის მიწოდების მოვალეობის შეუსრულებლობის გამო მომხმარებელს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების გარდა, მოქმედ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან შესაბამისად, შეუძლია მიმართოს სხვა გამოსასწორებელ ზომებს, როგორცაა მოვაჭრისათვის მიწოდების მიზნით დამატებითი დროის მონაკვეთის მინიჭება, ხელშეკრულების აღსასრულებლად მიტოვება, გადასახადის დაკავება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.
54. შიდა ბაზარზე გადასახადის მომსახურების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 13 ნოემბრის დირექტივის 2007/64/EC¹² 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს უნდა შეეძლოთ

- მოვაჭრეთა უფლებების აკრძალვა ან შემცირება, მომხმარებლისგან გადასახდელის გამოთხოვასთან დაკავშირებით, კონკურსის წახალისების და ეფექტური საგადასახადო ინსტრუმენტების ხელშეწყობის საჭიროების გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში, მოვაჭრეს უნდა ეკრძალებოდეს მომხმარებლისთვის ისეთი გადასახადის დაკისრება, რომელიც სცდება მოვაჭრის მიერ გაწეულ ხარჯს გადახდის გარკვეული საშუალების გამოყენებისთვის.
55. როდესაც მოვაჭრე მომხმარებელს უგზავნის საქონელს, შესაძლებელია წამოიჭრას დავა დანაკარგის ან დაზიანების შემთხვევაში, იმ მომენტში, როდესაც ხორციელდება რისკის გადაცემა. შესაბამისად, წინამდებარე დირექტივამ უნდა უზრუნველყოს, რომ მომხმარებელი იყოს დაცული საქონლის დაკარგვის ან დაზიანების რისკის წინააღმდეგ, რომელიც წარმოიშობა საქონლის ფიზიკურ დაუფლებამდე. მომხმარებელი დაცული უნდა იყოს მოვაჭრის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ტრანსპორტირებისას, მაშინაც კი, როდესაც მომხმარებელს არჩეული აქვს მიწოდების კონკრეტული მეთოდი მოვაჭრის მიერ შემოთავაზებული რიგი ვარიანტებიდან. თუმცა, აღნიშნული დებულება არ უნდა გავრცელდეს ხელშეკრულებებზე, როდესაც საქონელს იღებს თავად მომხმარებელი ან გადამზიდს სთხოვს მიწოდების განხორციელებას. რისკის გადაცემის მომენტთან დაკავშირებით უნდა ჩაითვალოს, რომ მომხმარებელმა შეიზინა საქონლის ფიზიკური მფლობელობა, როდესაც ის მიიღებს მას.
56. პირებს და ორგანიზაციებს, რომელთაც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად გააჩნიათ მომხმარებელთა სახელშეკრულებო უფლებების დაცვის კანონიერი ინტერესები, უნდა ჰქონდეთ სამართალწარმოების დაწყების უფლება იმ სასამართლოს ან კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე, რომელსაც გააჩნია საჩივრების გადაწყვეტის ან შესაბამისი სამართალწარმოების დაწყების კომპეტენცია.
57. აუცილებელია, წევრმა სახელმწიფომ დაადგინოს პირგასამტეხლოები წინამდებარე დირექტივის დარღვევისთვის და უზრუნველყოს მათი აღსრულება. პირგასამტეხლოები უნდა იყოს ეფექტური, თანაზომიერი და გადამარწმუნებელი.
58. მომხმარებელს არ უნდა ჩამოერთვას წინამდებარე დირექტივით მინიჭებული დაცვა. როდესაც ხელშეკრულებაზე ვრცელდება მესამე ქვეყნის კანონმდებლობა, გამოყენებული უნდა იქნეს რეგულაცია (EC) No 593/2008, რათა დადგინდეს ინარჩუნებს თუ არა მომხმარებელი წინამდებარე დირექტივით მინიჭებულ დაცვას.
59. კომისიამ, წევრ სახელმწიფოებთან და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, უნდა შეისწავლოს ყველაზე შესაფერისი გზა ყველა მომხმარებლისთვის რეალიზაციის პუნქტზე საკუთარი უფლებების გაცნობის უზრუნველსაყოფად.
60. ვინაიდან მომხმარებლის ინერტულობაზე გათვლილი ვაჭრობა, რომელიც მოიცავს მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების შეუთანხმებელ მიწოდებას, იკრძალება შიდა ბაზარზე არაკეთილსინდისიერი ბიზნეს-სამომხმარებლო კომერციული პრაქტიკის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 11 მაისის დირექტივის 2005/29/EC მიერ („დირექტივა არაკეთილსინდისიერი სამომხმარებლო პრაქტიკის შესახებ“),¹³ მაგრამ არ არის უზრუნველყოფილი სახელშეკრულებო საშუალებები, წინამდებარე დირექტივაში აუცილებელია სახელშეკრულებო საშუალების დანერგვა, რომელიც ათავისუფლებს მომხმარებელს აღნიშნული მიწოდების ანაზღაურების უზრუნველყოფის ვალდებულებისგან.
61. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 12 ივლისის დირექტივა 2002/58/EC პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ (დირექტივა კონფიდენციალურობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ)¹⁴ უკვე არეგულირებს შეუთანხმებელ კომუნიკაციებს და უზრუნველყოფს მომხმარებელთა დაცვის უმაღლეს დონეს. შესაბამისად, იმავე თემის შესახებ მოცემული მსგავსი დებულებები დირექტივაში 97/7/EC არ არის საჭირო.
62. მიზანშეწონილია, რომ კომისიამ განიხილოს წინამდებარე დირექტივა, თუ შიდა ბაზარზე იდენტიფიცირდება გარკვეული ბარიერები. განხილვისას კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს წევრი სახელმწიფოებისადმი მინიჭებულ შესაძლებლობას, შეინარჩუნონ ან დანერგონ კონკრეტული ეროვნული დებულებები მომხმარებელთა ხელშეკრულებებში არაკეთილსინდისიერი პირობების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1993 წლის 5 აპრილის დირექტივისა 93/13/EEC¹⁵ და ფართო მოხმარების საქონლის რეალიზაციის გარკვეული ასპექტებისა და მათთან დაკავშირებული გარანტიების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 25 მაისის დირექტივის 1999/44/EC¹⁶ გარკვეულ სფეროებში. აღნიშნულმა განხილვამ შესაძლებელია მიიყვანოს კომისია წინადადებად, დირექტივის შესწორებასთან დაკავშირებით; აღნიშნული წინადადება შესაძლებელია მოიცავდეს მომხმარებელთა დაცვის სხვა კანონმდებლობების შესწორებას, რაც ასახავს კომისიის მომხმარებელთა პოლიტიკის სტრატეგიით ევროკავშირის კანონმდებლობის განხილვას, მომხმარებელთა დაცვის საერთო მაღალი დონის მიღწევის მიზნით.
63. დირექტივებში 93/13/EEC და 1999/44/EC უნდა შევიდეს შესწორებები, რათა წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვოთ კომისიის ინფორმირება გარკვეულ სფეროებში კონკრეტული ეროვნული დებულებების მიღების შესახებ.
64. დირექტივები 85/577/EEC და 97/7/EC უნდა გაუქმდეს.
65. ვინაიდან წინამდებარე დირექტივის მიზანი, კერძოდ, მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მიღწევის გზით, შიდა მარკეტის გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობა, ვერ იქნება სრულყოფილად მიღწეული წევრი სახელმწიფოების მიერ და შესაბამისად, ევროკავშირის დონეზე უკეთესად იქნება მიღწეული, ევროკავშირის შეუძლია მიიღოს ზომები ევროკავშირის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების მე-5 მუხლში მითითებული სუბსიდიური პასუხისმგებლობის პრინციპის შესაბამისად. იმავე მუხლით განსაზღვრული პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, წინამდებარე დირექტივა არ სცილდება ამ მიზნის მიღწევისთვის აუცილებელ ფარგლებს.
66. წინამდებარე დირექტივა პატივს სცემს ფუნდამენტურ უფლებებს და კერძოდ, ითვალისწინებს ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის მიერ აღიარებულ პრინციპებს.

67. უკეთესი კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესახებ ინსტიტუტთაშორის შეთანხმების 34-ე პუნქტის შესაბამისად¹⁷, წევრი სახელმწიფოები უნდა წახალისდნენ, რათა, თავიანთი და ევროკავშირის ინტერესებისთვის, შეიმუშაონ საკუთარი ცხრილები, რომლებიც, რამდენადაც შესაძლებელია, ასახავს კორელაციას წინამდებარე დირექტივასა და ტრანსპოზიციის ღონისძიებებს შორის და გაასაჯაროონ ისინი, მიიღო წინამდებარე დირექტივა:

თავი I

საგანი, განმარტებები და მოქმედების სფერო

მუხლი 1

საგანი

წინამდებარე დირექტივის მიზანია, მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მიღწევის გზით, შიდა მარკეტის გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობა, მომხმარებლებსა და მოვაჭრეებს შორის დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული, წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების გარკვეული ასპექტების დაახლოების გზით.

მუხლი 2

განმარტებები

წინამდებარე დირექტივის მიზნებისათვის გამოიყენება შემდეგი განმარტებები:

1. „მომხმარებელი“ გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც წინამდებარე დირექტივით განსაზღვრულ ხელშეკრულებაში მოქმედებს მიზნებისთვის, რომლებიც არ უკავშირდება მის ვაჭრობას, ბიზნესს, ხელობას ან პროფესიას;
2. „მოვაჭრე“ გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, მიუხედავად მისი კერძო ან საჯარო საკუთრებაში არსებობისა, რომელიც თავად, მათ შორის მისი სახელით ან მის ნაცვლად მოქმედი პირის საშუალებით, მოქმედებს წინამდებარე დირექტივით განსაზღვრულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მისი ვაჭრობის, ბიზნესის, ხელობის ან პროფესიის მიზნებისთვის;
3. „საქონელი“ გულისხმობს ნებისმიერ მატერიალურ მოძრავ ნივთს, გარდა აღსრულების გზით ან სხვაგვარად, კანონის საფუძველზე გაყიდული ნივთისა; წყალი, გაზი და ელექტროენერჯია უნდა ჩაითვალოს საქონლად წინამდებარე დირექტივის განმარტებით, როდესაც ისინი იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით;
4. „მომხმარებლის სპეციფიკაციებით დამზადებული საქონელი“ გულისხმობს საქონელს, რომელიც არ არის დამზადებული ქარხნული წარმოებით და შექმნილია მომხმარებლის მიერ გაკეთებული არჩევანის ან გადაწყვეტილების საფუძველზე;
5. „ნასყიდობის ხელშეკრულება“ გულისხმობს ნებისმიერ ხელშეკრულებას, რომლის შესაბამისად მოვაჭრე მომხმარებელს გადასცემს ან იღებს ვალდებულებას გადასცეს საკუთრება საქონელზე და მომხმარებელი იხდის მის საფასურს ან იღებს ვალდებულებას გადაიხადოს მისი საფასური, მათ შორის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლის ობიექტებს წარმოადგენს როგორც საქონელი, ასევე მომსახურება;
6. „მომსახურების ხელშეკრულება“ გულისხმობს ნებისმიერ ხელშეკრულებას, გარდა ნასყიდობის ხელშეკრულებისა, რომლის შესაბამისად მოვაჭრე მომხმარებლისთვის უზრუნველყოფს მომსახურებას ან იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მომსახურება და მომხმარებელი იხდის მის საფასურს ან იღებს ვალდებულებას გადაიხადოს მისი საფასური;
7. „დისტანციური ხელშეკრულება“ გულისხმობს მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას, ორგანიზებული დისტანციური გაყიდვების ან მომსახურების მიწოდების სქემის ფარგლებში, მოვაჭრისა და მომხმარებლის ერთდროულად ფიზიკურად დასწრების გარეშე, კომუნიკაციის ერთი ან მეტი საშუალების ექსკლუზიური გამოყენებით ხელშეკრულების გაფორმებამდე და მისი გაფორმების დროს;
8. „ქუჩაში დადებული ხელშეკრულება“ გულისხმობს მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის არსებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას:
 - a. რომელიც იდება მოვაჭრისა და მომხმარებლის ერთდროულად ფიზიკურად დასწრებით, იმ ადგილას, რომელიც არ წარმოადგენს მოვაჭრის ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსს;
 - b. რომლისთვისაც მომხმარებელმა გააკეთა შეთავაზება, (ა) ქვეპუნქტში მითითებულ გარემოებებში;
 - c. რომელიც იდება დაუყოვნებლივ, მოვაჭრის ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსში ან დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით, მას შემდეგ, რაც მომხმარებელს პირადად და ინდივიდუალურად მიმართეს მოვაჭრის ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსის გარეთ, მოვაჭრისა და მომხმარებლის ერთდროულად ფიზიკურად დასწრებით; ან
 - d. რომელიც იდება მოვაჭრის მიერ მოწყობილი ექსკურსიის დროს, რომელიც ორგანიზებულია საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის შეთავაზების ან მიყიდვის მიზნით ან ეფექტით;
9. „ბიზნესის შენობა-ნაგებობების კომპლექსი“ გულისხმობს:
 - a. ნებისმიერ უძრავ საცალო ვაჭრობის შენობა-ნაგებობების კომპლექსს, სადაც მოვაჭრე მუდმივად ახორციელებს საკუთარ საქმიანობას; ანნებისმიერ მოძრავ საცალო ვაჭრობის შენობა-ნაგებობების კომპლექსს, სადაც მოვაჭრე ჩვეულებრივად ახორციელებს

- b. საკუთარ საქმიანობას;
10. „ხანგამძლე მატარებელი“ გულისხმობს ნებისმიერ ინსტრუმენტს, რომელიც მომხმარებელს ან მოვაჭრეს საშუალებას აძლევს შეინახოს მისთვის პირადად გამიზნული ინფორმაცია ისე, რომ ის მომავალში იყოს ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიზნებისთვის ადეკვატური დროის მონაკვეთის განმავლობაში და რომელიც იძლევა შენახული ინფორმაციის უცვლელად კვლავწარმოების საშუალებას;
 11. „ციფრული კონტენტი“ გულისხმობს მონაცემებს, რომლებიც წარმოებული და უზრუნველყოფილია ციფრული ფორმით;
 12. „ფინანსური მომსახურება“ გულისხმობს ნებისმიერი სახის საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო, პირადი საპენსიო, საინვესტიციო და საგადასახო მომსახურებას;
 13. „საჯარო აუქციონი“ გულისხმობს რეალიზაციის მეთოდს, როდესაც მოვაჭრე საქონელსა და მომსახურებას სთავაზობს მომხმარებლებს, რომლებიც ესწრებიან ან საშუალება აქვთ პირადად დაესწრონ აუქციონს, აუქციონატორის მიერ წარმოებული გამჭვირვალე, კონკურენტუნარიანი ვაჭრობის პროცედურის საშუალებით და როდესაც წარმატებული პრეტენდენტი ვალდებულია შეიძინოს საქონელი ან მომსახურება;
 14. „კომერციული გარანტია“ გულისხმობს მოვაჭრის ან მწარმოებლის (გარანტის) მიერ მომხმარებლისადმი აღებულ ნებისმიერ ვალდებულებას, გარდა მისი შესაბამისობის გარანტიასთან დაკავშირებული სამართლებრივი ვალდებულებისა, აანაზღაუროს გადახდილი თანხა ან ჩანაცვლოს, შეაკეთოს ან უზრუნველყოს საქონელი ნებისმიერი ფორმით, თუ ის არ აკმაყოფილებს სპეციფიკაციებს ან ნებისმიერ სხვა მოთხოვნას, რომელიც არ უკავშირდება საგარანტიო განცხადებაში მოცემულ შესაბამისობას ან ხელშეკრულების გაფორმების დროს ან მის გაფორმებამდე არსებულ შესაბამის რეკლამას;
 15. „დამატებითი ხელშეკრულება“ გულისხმობს ხელშეკრულებას, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელი იძენს დისტანციურ ხელშეკრულებასთან ან ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საქონელს ან მომსახურებას და რომლის დროსაც აღნიშნული საქონელი და მომსახურება უზრუნველყოფილია მოვაჭრის ან მესამე მხარის მიერ, მოვაჭრესა და მესამე მხარეს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 3

მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დირექტივა, მის დებულებებში მოცემული პირობების თანახმად და მათ ფარგლებში, ვრცელდება მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაზე. ის ასევე ვრცელდება წყლის, გაზის, ელექტროენერჯის ან ცენტრალური გათბობის მიწოდებაზე, მათ შორის, საჯარო მომსახურების მიმწოდებლის მიერ, იმდენად, რამდენადაც აღნიშნული საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე.
2. თუ წინამდებარე დირექტივის რომელიმე დებულება ეწინააღმდეგება ევროკავშირის სხვა აქტის დებულებას, რომელიც არეგულირებს კონკრეტულ სექტორებს, უპირატესობა ენიჭება ევროკავშირის აღნიშნული სხვა აქტის დებულებას და ვრცელდება აღნიშნულ კონკრეტულ სექტორებზე.
3. წინამდებარე დირექტივა არ ვრცელდება ხელშეკრულებებზე:
 - a. სოციალური მომსახურების შესახებ, მათ შორის სოციალური საცხოვრისის, ბავშვთა სოციალური უზრუნველყოფის და მუდმივი ან დროებითი დახმარების საჭიროების მქონე პირებისა და ოჯახების შესახებ, გრძელვადიანი სოციალური უზრუნველყოფის ჩათვლით;
 - b. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, დირექტივის 2011/24/EU მე-3 მუხლის (a) პუნქტის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მიერ;
 - c. აზარტული თამაშებისთვის, რაც მოიცავს ფულადი სახსრებით სანაძლეოს დადებას მომგებიან თამაშობებში, მათ შორის ლატარიაში, კაზინოს აზარტულ თამაშებსა და სანაძლეო გარიგებებში;
 - d. ფინანსური მომსახურებისთვის;
 - e. უძრავი ქონების ან უძრავ ქონებასთან დაკავშირებული უფლებების შექმნის, შექმნის ან გადაცემის შესახებ;
 - f. ახალი შენობების მშენებლობის, არსებული შენობების არსებითი ცვლილების და ცხოვრების მიზნით საცხოვრებლის დაქირავების შესახებ;
 - g. რომლებიც შედის საგზურით მოგზაურობის, საგზურით დასვენების და ტურისტული მომსახურების პაკეტების შესახებ საბჭოს 1990 წლის 13 ივნისის დირექტივის 90/314/EEC რეგულირების სფეროში¹⁸;
 - h. რომლებიც შედის თაიმშერის, გრძელვადიანი დასვენების პროდუქციის, გადაყიდვისა და გადაცვლის ხელშეკრულების გარკვეულ ასპექტებთან მიმართებაში, მომხმარებელთა დაცვის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 14 იანვრის დირექტივის 2008/122/EC რეგულირების სფეროში¹⁹;
 - i. რომლებიც, წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობათა შესაბამისად, იქმნება საჯარო მოხელეს მიერ, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კანონისმიერი ვალდებულება და რომელმაც, ყოვლისმომცველი სამართლებრივი ინფორმაციის მიწოდებით, უნდა უზრუნველყოს მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების დადება ფრთხილი სამართლებრივი განხილვისა და ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირების სფეროს ცოდნის საფუძველზე;
 - j. სასურსათო პროდუქტების, სასმელების ან სხვა საქონლის შესახებ, რომლებიც გამიზნულია საოჯახო მეურნეობაში ამჟამინდელი გამოყენებისთვის ან რომლის ხშირ და რეგულარულ ფიზიკურ მიწოდებას ახორციელებს მოვაჭრე მომხმარებლის სახლში, საცხოვრებელში ან სამუშაო ადგილზე;
 - k. მგზავრთა სატრანსპორტო მომსახურების შესახებ, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-19 და 22-ე მუხლების გარდა;

1. რომლებიც იდება ავტომატური სავაჭრო აპარატების ან ავტომატიზირებული სავაჭრო მანქანების გამოყენებით;
 - m. რომელიც იდება ტელეკომუნიკაციების ოპერატორთან საზოგადოებრივი ტელეფონ-ავტომატის საშუალებით, მათი გამოყენების მიზნით ან რომელიც იდება მომხმარებლის მიერ ერთჯერადი კავშირის განსახორციელებლად ტელეფონით, ინტერნეტით ან ფაქსით.
4. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია არ გამოიყენონ წინამდებარე დირექტივა ან არ შეინარჩუნონ ან დაწერონ ეროვნული დებულებები, რომლებიც შეესაბამება ქუჩაში დადებული ხელშეკრულებებს, რისთვისაც მომხმარებელი იხდის გადასახადს, რომელიც არ აჭარბებს 50 ევროს. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია საკუთარ ეროვნულ კანონმდებლობაში განსაზღვრონ ნაკლები ღირებულება.
5. წინამდებარე დირექტივა გავლენას არ ახდენს შიდასახელმწიფოებრივ ზოგად სახელშეკრულებო სამართალზე, როგორცაა წესები ხელშეკრულების ნამდვილობის, ფორმირებისა და გავლენის შესახებ, რამდენადაც ზოგადი სახელშეკრულებო სამართლის ასპექტები არ რეგულირდება წინამდებარე დირექტივით.
6. წინამდებარე დირექტივა არ ზღუდავს მოვაჭრეებს მომხმარებლებისთვის ისეთი სახელშეკრულებო შეთანხმების შეთავაზებაში, რომელიც აჭარბებს ამ დირექტივაში უზრუნველყოფილ დაცვას.

მუხლი 4

ჰარმონიზაციის დონე

წევრმა სახელმწიფოებმა, საკუთარ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, არ უნდა შეინარჩუნონ ან დაწერონ დებულებები, რომლებიც სცილდება წინამდებარე დირექტივაში მოცემულ დებულებებს, მათ შორის, უფრო მეტად ან ნაკლებად მკაცრი დებულებები, მომხმარებელთა დაცვის განსხვავებული დონის უზრუნველსაყოფად, თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დირექტივაში.

თავი II

მომხმარებელთა ინფორმაცია ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც არ წარმოადგენს დისტანციურ ან ქუჩაში დადებული ხელშეკრულებებს

მუხლი 5

საინფორმაციო მოთხოვნები ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც არ წარმოადგენს დისტანციურ ან ქუჩაში დადებული ხელშეკრულებებს

1. მანამ, სანამ მომხმარებელი შეიზღუდება ხელშეკრულებით, რომელიც არ წარმოადგენს დისტანციურ და ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებას ან სხვა შესაბამის შეთავაზებას, მოვაჭრე მომხმარებელს უზრუნველყოფს ნათელი და ყოვლისმომცველი ფორმის შემდეგი ინფორმაციით, თუ ინფორმაცია, კონტექსტიდან გამომდინარე, ჯერ არ არის აშკარა:
 - a. საქონლისა და მომსახურების ძირითადი მახასიათებლები, მოხმარების საშუალებასთან და საქონელთან ან მომსახურებასთან შესაბამისობის ფარგლებში;
 - b. მოვაჭრის იდენტობა, მაგალითად, მისი სავაჭრო სახელი, გეოგრაფიული მისამართი, სადაც ის არის დაფუნდებული და მისი ტელეფონის ნომერი;
 - c. საქონლის ან მომსახურების ჯამური ფასი გადასახადების გათვალისწინებით, ან, როდესაც საქონლის ან მომსახურების თვისებებიდან გამომდინარე ღირებულება წინასწარ გონივრულად ვერ გამოანგარიშდება, საფასურის გამოთვლის წესი, ასევე, შესაბამის შემთხვევებში, დამატებითი ტვირთის, მიწოდების ან საფოსტო გადასახდელები, ან, როდესაც აღნიშნული გადასახდელები წინასწარ გონივრულად ვერ გამოანგარიშდება, ფაქტი, რომ ასეთი დამატებითი გადასახდელები გადახდას ექვემდებარება;
 - d. საჭიროების შემთხვევაში, გადახდის, მიწოდების, შესრულების ღონისძიებები, დრო, რომლისთვისაც მოვაჭრე საქონლის მიწოდების ან მომსახურების შესრულების ვალდებულებას იღებს და მოვაჭრის საჩივრის მართვის პოლიტიკა;
 - e. გარდა საქონლის შესაბამისობის სამართლებრივი გარანტიის არსებობის შეხსენებისა, შესაბამის შემთხვევაში, რეალიზაციის შემდგომი მომსახურებისა და კომერციული გარანტიების არსებობა და პირობები;
 - f. ხელშეკრულების ხანგრძლივობა, შესაბამის შემთხვევაში ან თუ ხელშეკრულებას გააჩნია განუსაზღვრელი ხანგრძლივობა ან ავტომატურად ხანგრძლივდება, ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები;
 - g. შესაბამის შემთხვევაში, ფუნქციონალურობა, მათი ციფრული კონტენტის შესაბამისი ტექნიკური დაცვის ზომები;
 - h. შესაბამის შემთხვევაში, ციფრული კონტენტის ნებისმიერი შესაბამისი ურთიერთოპერაბელურობა აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის გარემოსთან, რომლის შესახებაც მოვაჭრემ იცის ან გონივრულად შესაძლებელია, რომ იცოდეს.
2. 1-ლი პუნქტი ასევე ვრცელდება წყლის, გაზის ან ელექტროენერჯის მიწოდების ხელშეკრულებებზე, როდესაც ისინი არ იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით, ასევე ცენტრალური გათბობის ხელშეკრულებებზე ან ციფრული კონტენტის მიწოდების ხელშეკრულებებზე, რომელიც არ მიეწოდება მატერიალური საშუალებით.
3. წევრ სახელმწიფოებს არ მოეთხოვებათ 1-ლი პუნქტის გამოყენება ისეთ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რომლებიც მოიცავს ყოველდღიურ გარიგებებს და რომლებიც სრულდება დაუყოვნებლივ, მათი დადების დროს.

4. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიიღონ ან შეინარჩუნონ დამატებითი წინასახელშეკრულებო საინფორმაციო მოთხოვნები იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებსაც ეს მუხლი ეხება.

თავი III

მომხმარებელთა ინფორმაცია და დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება

მუხლი 6

საინფორმაციო მოთხოვნები დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებებისთვის

1. მანამ, სანამ მომხმარებელი შეიზღუდება დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებით ან სხვა შესაბამისი შეთავაზებით, მოვაჭრემ მომხმარებელი უნდა უზრუნველყოს შემდეგი ინფორმაციით, ნათელი და ყოვლისმომცველი ფორმით:

- a. საქონლისა და მომსახურების ძირითადი მახასიათებლები, მოხმარების საშუალებასთან და საქონელთან ან მომსახურებასთან შესაბამისობის ფარგლებში;
- b. მოვაჭრის იდენტობა, მაგალითად მისი სავაჭრო სახელი;
- c. გეოგრაფიული მისამართი, სადაც არის დაფუძნებული მოვაჭრე და მოვაჭრის ტელეფონის ნომერი, ფაქსის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი, მათი არსებობის შემთხვევაში, რათა მომხმარებელს მიეცეს მოვაჭრესთან სწრაფი კონტაქტის საშუალება და ჰქონდეს მასთან ეფექტური კომუნიკაცია და შესაბამის შემთხვევაში, იმ მოვაჭრის გეოგრაფიული მისამართი და ვინაობა, რომლის ნაცვლადაც მოქმედებს ის;
- d. მოვაჭრის საქმიანობის განხორციელების ადგილის გეოგრაფიული მისამართი, თუ ის (c) ქვეპუნქტის შესაბამისად უზრუნველყოფილი მისამართისგან განსხვავდება და შესაბამის შემთხვევაში, იმ მოვაჭრის გეოგრაფიული მისამართი, რომლის ნაცვლადაც ის მოქმედებს და რომელზეც მომხმარებელს შეეძლება საჩივრით მიმართვა;
- e. საქონლის ან მომსახურების ჯამური ფასი გადასახადების გათვალისწინებით, ან, როდესაც საქონლის ან მომსახურების თვისებებიდან გამომდინარე ღირებულება წინასწარ გონივრულად ვერ გამოანგარიშდება, საფასურის გამოთვლის წესი, ასევე, შესაბამის შემთხვევებში, დამატებითი ტვირთის, მიწოდების ან საფოსტო გადასახდელები ან ნებისმიერი სხვა საფასური, ან, როდესაც აღნიშნული გადასახდელები წინასწარ გონივრულად ვერ გამოანგარიშდება, ფაქტი, რომ ასეთი დამატებითი გადასახდელები გადახდას ექვემდებარება. განუსაზღვრელი ხანგრძლივობის ხელშეკრულების ან გამოწერის შემცველი ხელშეკრულების შემთხვევაში ჯამური საფასური მოიცავს ბილინგის პერიოდის ჯამურ ღირებულებას. როდესაც აღნიშნულ ხელშეკრულებებს გადასახდელები ეკისრება ფიქსირებული განაკვეთით, ჯამური საფასური ასევე გულისხმობს ჯამურ თვიურ ღირებულებას. როდესაც ჯამური ღირებულება წინასწარ გონივრულად ვერ გამოანგარიშდება, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ღირებულების გამოთვლის წესი;
- f. ხელშეკრულების დადებისთვის დისტანციური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების ღირებულება, როდესაც ღირებულება არ გამოითვლება ძირითადი სატარიფო განაკვეთით;
- g. გადახდის, მიწოდების, შესრულების ღონისძიებები, დრო, რომლისთვისაც მოვაჭრე საქონლის მიწოდების ან მომსახურების შესრულების ვალდებულებას იღებს და, საჭიროების შემთხვევაში, მოვაჭრის საჩივრის მართვის პოლიტიკა;
- h. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული უფლების განხორციელების პირობები, ვადა და პროცედურები მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ასევე I(B) დანართში მოცემული ხელშეკრულებიდან გასვლის ტიპური ფორმა;
- i. შესაბამის შემთხვევებში, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, მომხმარებელს ეკისრება საქონლის დაბრუნების ხარჯები და დისტანციური ხელშეკრულების შემთხვევაში, თუ საქონლის დაბრუნება, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ჩვეულებრივ განხორციელდეს ფოსტის საშუალებით, მომხმარებელს ეკისრება საქონლის დაბრუნების ხარჯები;
- j. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თუ მომხმარებელი განახორციელებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად მოთხოვნის გაკეთების შემდეგ, მომხმარებელს ეკისრება მოვაჭრისთვის მართებული ღირებულების გადახდა მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;
- k. როდესაც მე-16 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოფილი არ არის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომხმარებელი ვერ ისარგებლებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით, ან შესაბამის შემთხვევებში, გარემოებები, რომელთა შესაბამისად მომხმარებელი კარგავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას;
- l. საქონლის შესაბამისობის სამართლებრივი გარანტიის არსებობის შეხსენება;
- m. შესაბამის შემთხვევაში, მომხმარებლის რეალიზაციის შემდგომი დახმარების, რეალიზაციის შემდგომი მომსახურებისა და კომერციული გარანტიების არსებობა და პირობები;
- n. დირექტივის მე-2 მუხლის (f) პუნქტის შესაბამისად, შესაფერისი ქცევის კოდექსის არსებობა და შესაბამის შემთხვევებში, მათი ეგზემპლარების მოპოვების გზები;
- o. ხელშეკრულების ხანგრძლივობა, შესაბამის შემთხვევაში, ან თუ ხელშეკრულებას გააჩნია განუსაზღვრელი ხანგრძლივობა ან ავტომატურად ხანგრძლივდება, ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები;
- p. შესაბამის შემთხვევებში, მომხმარებლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური

ხანგრძლივობა;

- q. შესაბამის შემთხვევებში, მომხმარებლის მიერ მოვაჭრის მოთხოვნის საფუძველზე გადასახდელი ან უზრუნველსაყოფელი დეკონირების ან სხვა ფინანსური გარანტიების არსებობა და პირობები;
 - r. შესაბამის შემთხვევებში, ფუნქციონალურობა, მათ შორის, ციფრული კონტენტის შესაბამისი ტექნიკური დაცვის ზომები;
 - s. შესაბამის შემთხვევებში, ციფრული კონტენტის ნებისმიერი შესაბამისი ურთიერთოპერაბელურობა აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის გარემოსთან, რომლის შესახებაც მოვაჭრემ იცის ან გონივრულად შესაძლებელია რომ იცოდეს;
 - t. შესაბამის შემთხვევებში, დახმარებისთვის მიმართვის შესაძლებლობა სასამართლოსგარეშე საჩივრით ან ანაზღაურების მექანიზმით, რომელსაც ექვემდებარება მოვაჭრე და მასთან წვდომის მეთოდები.
2. 1-ლი პუნქტი ასევე ვრცელდება წყლის, გაზის ან ელექტროენერჯის მიწოდების ხელშეკრულებებზე, როდესაც ისინი არ იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით, ასევე ცენტრალური გათბობის ხელშეკრულებებზე ან ციფრული კონტენტის მიწოდების ხელშეკრულებებზე, რომელიც არ მიეწოდება მატერიალური საშუალებით.

3. საჯარო აუქციონის შემთხვევაში, 1-ლი პუნქტის (b), (c) და (d) ქვეპუნქტებში მითითებული ინფორმაცია შესაძლებელია შეიცვალოს ეკვივალენტური დეტალებით აუქციონატორის შესახებ.

4. 1-ლი პუნქტის (h), (i) და (j) ქვეპუნქტებში მითითებული ინფორმაცია შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნეს I(A) დანართში მოცემული ხელშეკრულებიდან, გასვლასთან დაკავშირებული ტიპური მითითებების საშუალებით. მოვაჭრეს შესრულებული აქვს 1-ლი პუნქტის (h), (i) და (j) ქვეპუნქტებში მითითებული საინფორმაციო მოთხოვნები, თუ მან აღნიშნული, სწორად შევსებული ინსტრუქციები მიაწოდა მომხმარებელს.

5. 1-ელ პუნქტში მითითებული ინფორმაცია წარმოადგენს დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და არ იცვლება, თუ სახელშეკრულებო მხარეები პირდაპირ არ შეთანხმდნენ სხვაგვარად.

6. თუ მოვაჭრე არ ასრულებს საინფორმაციო მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია დამატებით გადასახდელთან და სხვა ხარჯებთან, 1-ლი პუნქტის (e) ქვეპუნქტის შესაბამისად, ან საქონლის დაბრუნების ხარჯებთან, 1-ლი პუნქტის (o) ქვეპუნქტის შესაბამისად, მომხმარებელს არ ეკისრება აღნიშნული გადასახდელი ან ხარჯები.

7. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ან დაანერგონ სახელშეკრულებო ინფორმაციასთან დაკავშირებული ენობრივი მოთხოვნები, რათა უზრუნველყონ მომხმარებლის მიერ ინფორმაციის მარტივად გაგება.

8. წინამდებარე დირექტივაში მოცემული საინფორმაციო მოთხოვნები ემატება დირექტივებში 2006/123/EC და 2000/31/EC მოცემულ საინფორმაციო მოთხოვნებს და არ ზღუდავს წევრ სახელმწიფოებს დამატებითი საინფორმაციო მოთხოვნების დაკისრებაში, აღნიშნული დირექტივების შესაბამისად.

თუ დირექტივის 2006/123/EC ან დირექტივის 2000/31/EC დებულება ეწინააღმდეგება წინამდებარე დირექტივის დებულებას ინფორმაციის შინაარსთან და მისი წარდგენის ფორმასთან დაკავშირებით, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე დირექტივის დებულებას, პირველი აბზაცის შეუზღუდავად.

9. რაც შეეხება ამ თავში მოცემულ საინფორმაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას, მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვაჭრეს.

მუხლი 7

ფორმალური მოთხოვნები ქუჩაში დადებული ხელშეკრულებებისთვის

1. ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, მოვაჭრემ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა გადასცეს მომხმარებელს ქაღალდზე, ან, მომხმარებლის თანხმობის შემთხვევაში, ხანგამძლე მატარებელზე. ინფორმაცია უნდა იკითხებოდეს მარტივ, გასაგებ ენაზე.

2. მოვაჭრე მომხმარებელს უზრუნველყოფს ხელმოწერილი ხელშეკრულების ეგზემპლარით ან ხელშეკრულების დასტურს ქაღალდზე, ან, მომხმარებლის თანხმობის შემთხვევაში, სხვა ხანგამძლე მატარებელზე, მათ შორის, შესაბამის შემთხვევებში, მომხმარებლის წინასწარი გასაგებად გამოხატული თანხმობისა და აღიარების დასტურს მე-16 მუხლის (m) პუნქტის შესაბამისად.

3. როდესაც მომხმარებელს სურს, რომ მომსახურების უზრუნველყოფა ან წყლის, გაზის, ელექტროენერჯის მიწოდება, როდესაც ისინი არ იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით, ან ცენტრალური გათბობის მიწოდება დაიწყოს მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდში, მოვაჭრე მომხმარებელს სთხოვს აღნიშნული გამოხატული მოთხოვნა წარადგინოს ხანგამძლე მატარებელზე.

4. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების გათვალისწინებით, როდესაც მომხმარებელი ცხადად მოითხოვს მოვაჭრის მომსახურებას რემონტის ან ტექნიკური უზრუნველყოფის განხორციელების მიზნით, რომლისთვისაც მოვაჭრე და მომხმარებელი დაუყოვნებლივ ასრულებენ თავიანთ სახელშეკრულებო ვალდებულებებს და მომხმარებლის მიერ გადასახდელი თანხა არ აჭარბებს 200 ევროს:

- a. მოვაჭრე მომხმარებელს უზრუნველყოფს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (b) და (c) ქვეპუნქტებში მითითებული ინფორმაციით და საფასურისა და მისი გამოთვლის წესის შესახებ ინფორმაციით, სავარაუდო ჯამურ საფასურთან ერთად, ქალაღზე, ან, მომხმარებლის თანხმობის შემთხვევაში, სხვა ხანგამძლე მატარებელზე. მოვაჭრე უზრუნველყოფს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (a), (h) და (k) ქვეპუნქტებში მითითებულ ინფორმაციას, მაგრამ შესაძლებელია არ გადასცეს ინფორმაცია ქალაღზე ან სხვა ხანგამძლე მატარებელზე, თუ მომხმარებელი პირდაპირ გამოხატავს თანხმობას;
- b. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოფილი ხელშეკრულების დასტური მოიცავს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია არ გამოიყენონ ეს პუნქტი.

5. წევრი სახელმწიფოები არ აკისრებენ დამატებით ფორმალურ წინასახელშეკრულებო საინფორმაციო მოთხოვნებს, წინამდებარე დირექტივაში მოცემული საინფორმაციო ვალდებულებების შესასრულებლად.

მუხლი 8

ფორმალური მოთხოვნები დისტანციური ხელშეკრულებებისთვის

1. დისტანციური ხელშეკრულებების გათვალისწინებით, მოვაჭრემ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა გადასცეს მომხმარებელს ან ხელმისაწვდომი გახადოს მომხმარებლისთვის, დისტანციური კომუნიკაციის საშუალებებისთვის შესაფერისი გზით, მარტივ და გასაგებ ენაზე. რამდენადაც ეს ინფორმაცია მიეწოდება ხანგამძლე მატარებელზე, ის უნდა იყოს გასაგები.

2. თუ ელექტრონული საშუალებით დისტანციური ხელშეკრულების დადება მომხმარებელს აკისრებს გადახდის ვალდებულებას, მოვაჭრემ მომხმარებელს უნდა აცნობოს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (a), (e), (o) და (p) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის შესახებ, ნათელი და თვალსაჩინო ფორმით, ასევე მომხმარებლის მიერ უშუალოდ შეკვეთის განთავსებამდე.

მომხმარებლის მიერ შეკვეთის განთავსებისას მოვაჭრემ უნდა უზრუნველყოფს იმის ცხადად აღქმა, რომ შეკვეთა გულისხმობს გადახდის ვალდებულებას. თუ შეკვეთის განთავსება იწვევს ღილაკის ან მსგავსი ფუნქციის აქტივაციას, ღილაკი ან მისი მსგავსი ფუნქცია უნდა იყოს მარკირებული მარტივი გასაგები მეთოდით, სიტყვებით – „გადახდის ვალდებულების მქონე შეკვეთა“ ან მსგავსი ცალსახა ფორმულირებით, რომელიც უთითებს, რომ შეკვეთის განთავსება იწვევს მოვაჭრისთვის გადახდის ვალდებულებას. თუ მოვაჭრე არ ასრულებს ამ აზრს, მომხმარებელი არ იზღუდება ხელშეკრულებით ან შეკვეთით.

3. სავაჭრო ვებგვერდებზე, არაუგვიანეს შეკვეთის პროცესის დასაწყისისა, ნათლად და მკაფიოდ უნდა მიეთითოს, ვრცელდება თუ არა მიწოდების რომელიმე შეზღუდვა და გადახდის რომელი საშუალებებია მისაღები.

4. თუ ხელშეკრულება იდება დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით, რომელსაც გააჩნია ინფორმაციის განთავსების შეზღუდული სივრცე ან დრო, მოვაჭრემ, აღნიშნულ საშუალებაზე, ხელშეკრულების დადებამდე უნდა უზრუნველყოფს სულ მცირე წინასახელშეკრულებო ინფორმაცია საქონლისა და მომსახურების ძირითად მახასიათებლებთან, მოვაჭრის ვინაობასთან, ჯამურ საფასურთან, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებასთან და ხელშეკრულების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით და თუ ხელშეკრულებას გააჩნია განუსაზღვრელი ხანგრძლივობა, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (a), (b), (e), (h) და (o) ქვეპუნქტების შესაბამისად – ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები; მოვაჭრემ მომხმარებლისთვის, ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, შესაფერისი გზით უნდა უზრუნველყოფს მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული სხვა ინფორმაცია.

5. თუ მოვაჭრე ახორციელებს სატელეფონო ზარს მომხმარებელთან დისტანციური ხელშეკრულების დადების მიზნით, მან, მე-4 პუნქტის შეუზღუდავად, მომხმარებელთან საუბრის დაწყებისას უნდა გაამხილოს საკუთარი ვინაობა და შესაბამის შემთხვევებში, იმ პირის ვინაობა, რომლის სახელითაც ახორციელებს სატელეფონო ზარს და ზარის კომერციული მიზნები.

6. როდესაც დისტანციური ხელშეკრულება იდება ტელეფონის საშუალებით, წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია უზრუნველყოფს, რომ მოვაჭრემ უნდა დაადასტუროს მომხმარებლის შეთავაზება, რომელიც ვალდებულებას იღებს მხოლოდ შეთავაზების ხელმოწერის ან წერილობითი თანხმობის გაგზავნის შემდეგ. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია უზრუნველყოფს, რომ ასეთი დასტური გაკეთდეს ხანგამძლე მატარებელზე.

7. მოვაჭრემ მომხმარებელი უნდა უზრუნველყოფს დადებული ხელშეკრულების დასტურით, რომელსაც ასრულებს ხანგამძლე მატარებელზე, დისტანციური ხელშეკრულების დადების შემდეგ გონივრული ვადის ფარგლებში და არაუგვიანეს საქონლის მიწოდების დროს ან მომსახურების უზრუნველყოფის დაწყებამდე. დასტური მოიცავს:

- a. მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებულ სრულ ინფორმაციას, თუ მოვაჭრემ დისტანციური ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებლისთვის ხანგამძლე მატარებელზე არ უზრუნველყოფს ასეთი ინფორმაცია; და
- b. შესაბამის შემთხვევებში, მომხმარებლის წინასწარ გასაგებად გამოხატული თანხმობისა და აღიარების დასტურს, მე-16 მუხლის (m) პუნქტის შესაბამისად.

8. როდესაც მომხმარებელს სურს, რომ მომსახურების უზრუნველყოფა ან წყლის, გაზის ელექტროენერჯის მიწოდება, როდესაც ისინი არ იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით, ან ცენტრალური გათბობის მიწოდება

დაიწეს მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდში, მოვაჭრე მომხმარებელს სთხოვს ცხადი მოთხოვნის წარდგენას.

9. ეს მუხლი არ ზღუდავს დირექტივის 2000/31/EC მე-9 და მე-11 მუხლებში მოცემულ დებულებებს ელექტრონული ხელშეკრულების დადების და ელექტრონული შეკვეთების განთავსების შესახებ.

10. წევრი სახელმწიფოები არ აკისრებენ სხვა დამატებით ფორმალურ წინასახელშეკრულებო საინფორმაციო მოთხოვნებს, წინამდებარე დირექტივაში მოცემული საინფორმაციო ვალდებულებების შესასრულებლად.

მუხლი 9

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება

1. როდესაც გამოიყენება მე-16 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისები, მომხმარებელს გააჩნია 14 დღიანი ვადა დისტანციური ან ქუჩაში დადებული ხელშეკრულებიდან გასასვლელად, მიზეზის დასახელებისა და ღირებულების დაკისრების გარეშე, გარდა მე-13 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-14 მუხლით გათვალისწინებული ღირებულებებისა.

2. მე-10 მუხლის შეუზღუდავად, ამ მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდი იწურება 14 დღის გასვლის შემდეგ:

- a. მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში – ხელშეკრულების დადების დღიდან;
- b. ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში – იმ დღიდან, როდესაც მომხმარებელი ან მომხმარებლის მიერ მითითებული მესამე მხარე, რომელიც არ წარმოადგენს გადამზიდველს, იძენს საქონლის ფიზიკურ მფლობელობას, ან:
 - i. მომხმარებლის მიერ ერთად შეკვეთილი და ცალ-ცალკე მიღებული სხვადასხვა საქონლის შემთხვევაში – იმ დღიდან, როდესაც მომხმარებელი ან მომხმარებლის მიერ მითითებული მესამე მხარე, რომელიც არ წარმოადგენს გადამზიდს, იძენს საბოლოო საქონლის ფიზიკურ მფლობელობას;
 - ii. რამდენიმე პარტიის ან ნაწილისგან შემდგარი საქონლის მიწოდების შემთხვევაში – იმ დღიდან, როდესაც მომხმარებელი ან მომხმარებლის მიერ მითითებული მესამე მხარე, რომელიც არ წარმოადგენს გადამზიდს, იძენს საბოლოო პარტიის ან ნაწილის ფიზიკურ მფლობელობას;
 - iii. დროის განსაზღვრული მონაკვეთის განმავლობაში საქონლის რეგულარულ მიწოდებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების შემთხვევაში – იმ დღიდან, როდესაც მომხმარებელი ან მომხმარებლის მიერ მითითებული მესამე მხარე, რომელიც არ წარმოადგენს გადამზიდს, იძენს პირველი საქონლის ფიზიკურ მფლობელობას;
- c. წყლის, გაზის ან ელექტროენერჯის მიწოდების ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც ისინი არ იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით, ასევე ცენტრალური გათბობის ხელშეკრულების შემთხვევაში ან ციფრული კონტენტის მიწოდების ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელიც არ მიეწოდება – ხელშეკრულების დადების დღიდან.

3. წევრი სახელმწიფოები სახელშეკრულებო მხარეებს არ უკრძალავენ თავიანთი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდის დროს. მიუხედავად ამისა, ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეინარჩუნონ არსებული ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც მოვაჭრეს უკრძალავს მომხმარებლისგან გადასახადის შეგროვებას ხელშეკრულების დადების შემდეგ მოცემული პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 10

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შესახებ ინფორმაციის უმოქმედობა

1. თუ მოვაჭრე მომხმარებლისთვის არ უზრუნველყოფს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის (h) ქვეპუნქტის შესაბამის ინფორმაციას ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდი იწურება ხელშეკრულებიდან გასვლის პირველადი პერიოდის დასრულებიდან 12 თვეში, როგორც ეს განსაზღვრულია მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში.

2. თუ მოვაჭრემ მომხმარებლისთვის უზრუნველყო ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დღიდან 12 თვის განმავლობაში, ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდი იწურება მომხმარებლის მიერ ინფორმაციის მიღების დღიდან 14 დღის გასვლის შემდეგ.

მუხლი 11

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება

1. მომხმარებელი მოვაჭრეს აცნობებს ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებით საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ, ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდის ამოწურვამდე. ამ მიზნით, მომხმარებელმა შესაძლებელია:

- a. გამოიყენოს I(B) დანართში მოცემული ხელშეკრულებიდან გასვლის ტიპური ფორმა; ან
 - b. გააკეთოს სხვა ცალსახა განცხადება, რომელშიც მოცემულია მისი ხელშეკრულებიდან გასვლის გადაწყვეტილება.
- წევრი სახელმწიფო არ ითვალისწინებს ფორმალურ მოთხოვნებს, რომლებიც ვრცელდება ხელშეკრულებიდან გასვლის

ტიპიურ ფორმაზე, გარდა I(B) დანართში მოცემული მოთხოვნებისა.

2. მომხმარებელი ახორციელებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას მე-9 მუხლის მე-2 პუნქტსა და მე-10 მუხლში მოცემული ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდის ფარგლებში, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული შეტყობინება მომხმარებელმა გაგზავნა პერიოდის ამოწურვამდე.

3. მოვაჭრემ, 1-ელ პუნქტში მითითებული საშუალებების გარდა, შესაძლებელია მომხმარებელს მისცეს მოვაჭრის ვებგვერდზე I(B) დანართში მოცემული ხელშეკრულებიდან გასვლის ტიპიური ფორმის ან ნებისმიერი სხვა ცალსახა განცხადების ელექტრონულად შევსებისა და წარდგენის ვარიანტი. ასეთ შემთხვევებში მოვაჭრემ მომხმარებელს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს დასტური ხელშეკრულებიდან გასვლის მიღებაზე, ხანგამძლე მატარებელზე.

4. ამ მუხლის შესაბამისად ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების მტკიცების ტვირთი ეკისრება მომხმარებელს.

მუხლი 12

ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება წყვეტს მხარეთა შემდგომ ვალდებულებებს:

- შეასრულონ დისტანციური ან ქუჩაში დადებული ხელშეკრულებები; ან
- გააფორმონ დისტანციური ან ქუჩაში დადებული ხელშეკრულები, მომხმარებლის მიერ შეთავაზების გაკეთების შემთხვევებში.

მუხლი 13

მოვაჭრის ვალდებულებები ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში

1. მოვაჭრე ანაზღაურებს მომხმარებლისგან მიღებულ ყველა გადასახადს, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მიწოდების საფასურს, დაუსაბუთებელი შეფერხების გარეშე და ნებისმიერ შემთხვევაში, მე-11 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 14 დღისა.

მოვაჭრე ახორციელებს პირველ აბზაცში მითითებულ ანაზღაურებას იმავე გადახდის საშუალებით, რომელიც მომხმარებელმა გამოიყენა საწყისი გარიგებისას, თუ მომხმარებელი პირდაპირ არ თანხმდება სხვაგვარად და თუ მომხმარებელს არ ეკისრება რაიმე სახის გადასახადი ასეთი ანაზღაურების შედეგად.

2. მიუხედავად 1-ლი პუნქტისა, მოვაჭრეს არ ეკისრება დამატებითი ღირებულების ანაზღაურება, თუ მომხმარებელმა პირდაპირ აირჩია მიწოდების ტიპი, რომელიც არ წარმოადგენს მომხმარებლის მიერ შემოთავაზებულ ყველაზე ნაკლებად ღირებულ სტანდარტული მიწოდების ტიპს.

3. ნასყიდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით, თუ მოვაჭრეს არ გაუკეთებია საქონლის საკუთარი ძალებით დაბრუნების შეთავაზება, მოვაჭრემ შესაძლებელია შეაჩეროს ანაზღაურება, საქონლის უკან მიღებამდე ან მომხმარებლის მიერ საქონლის გამოგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენამდე, იმისდა მიხედვით, თუ რომელი განხორციელდება უფრო ადრე.

მუხლი 14

მომხმარებლის ვალდებულებები ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში

1. თუ მოვაჭრეს არ გაუკეთებია საქონლის საკუთარი ძალებით დაბრუნების შეთავაზება, მომხმარებელი უკან გზავნის საქონელს ან გადასცემს მას მოვაჭრეს ან მოვაჭრის საქონლის მიღებაზე უფლებამოსილ პირს, დაუსაბუთებელი შეფერხების გარეშე და ნებისმიერ შემთხვევაში, მე-11 მუხლის შესაბამისად ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ საკუთარი გადაწყვეტილების მოვაჭრისთვის შეტყობინების დღიდან არაუგვიანეს 14 დღისა. ვადა მიიჩნევა დაცულად, თუ მომხმარებელი საქონელს უკან გამოგზავნის 14 დღიანი ვადის ამოწურვამდე.

მომხმარებელს ეკისრება საქონლის დაბრუნების ხარჯები, თუ მოვაჭრე თავად არ იკისრებს მათ ან თუ მოვაჭრე არ შეატყობინებს მომხმარებელს, რომ მომხმარებელს ეკისრება მათი გადახდა.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების დადების მომენტში, მომხმარებლის სახლში, მოვაჭრე საკუთარი ხარჯებით იბრუნებს საქონელს, თუ ის, თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია დაბრუნებული იქნეს ფოსტის საშუალებით.

2. მომხმარებელი პასუხისმგებელია საქონლის შემცირებულ ღირებულებაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ის გამოწვეულია საქონლის მოხმარებით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც აუცილებელია საქონლის თვისებების, მახასიათებლებისა და ფუნქციონირების დასადგენად. მომხმარებელი არცერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი საქონლის შემცირებულ ღირებულებაზე, როდესაც მოვაჭრე მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (h) ქვეპუნქტის შესაბამისად არ ატყობინებს მას ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შესახებ.

3. თუ მომხმარებელი ახორციელებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად მოთხოვნის გაკეთების შემდეგ, მომხმარებელი იხდის ხელშეკრულებიდან მისი გასვლის უფლების განხორციელების შესახებ მოვაჭრის ინფორმირებამდე მიღებული მიწოდების პროპორციულ თანხას, ხელშეკრულების სრული დაფარვის საპირისპიროდ. მომხმარებლის მიერ მოვაჭრისთვის გადასახდელი პროპორციული თანხა გამოითვლება ხელშეკრულებაში შეთანხმებული ჯამური საფასურის საფუძველზე. თუ ჯამური თანხა არის ზედმეტად ჭარბი, პროპორციული თანხა გამოითვლება მომსახურების საბაზრო ღირებულების საფუძველზე.

4. მომხმარებელს არ ეკისრება ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება:

- a. მომსახურების მიწოდებისთვის ან წყლის, გაზის ან ელექტროენერჯის მიწოდებისთვის, როდესაც ისინი არ იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით, ასევე ცენტრალური გათბობის უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდში, სრულად ან ნაწილობრივ, როდესაც:
 - i. მოვაჭრე არ უზრუნველყოფს ინფორმაციას მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (h) ან (j) პუნქტების შესაბამისად; ან
 - ii. მომხმარებელს პირდაპირ არ მოუთხოვია ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდის განმავლობაში მომსახურების დაწყება, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად; ან
- b. ციფრული კონტენტის ნაწილობრივი ან სრული უზრუნველყოფისთვის, რომელიც არ მიეწოდება მატერიალური საშუალებით, თუ:
 - i. მომხმარებელს არ მიუცია წინასწარ ცხადად გამოხატული თანხმობა მომსახურების დაწყებაზე, მე-9 მუხლში მითითებული 14 დღიანი ვადის ამოწურვამდე;
 - ii. მომხმარებელმა არ აღიარა, რომ ის კარგავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას თანხმობის მიცემის შემდეგ; ან
 - iii. მოვაჭრე არ უზრუნველყოფს დასტურს მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ან მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

5. მომხმარებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების შედეგად, გარდა მე-13 მუხლის მე-2 პუნქტითა და ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 15

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების გავლენა დამატებით ხელშეკრულებებზე

1. მომხმარებელთათვის საკრედიტო ხელშეკრულების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის დირექტივის 2008/48/EC²⁰ მე-15 მუხლის შეუზღუდავად, თუ მომხმარებელი ახორციელებს დისტანციური ან ქუჩაში დადებული ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას წინამდებარე დირექტივის მე-9 და მე-14 მუხლების შესაბამისად, ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულება ავტომატურად წყდება, მომხმარებლისთვის ნებისმიერი დამატებითი ღირებულების დაკისრების გარეშე, გარდა წინამდებარე დირექტივის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-14 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. წევრი სახელმწიფოები ადგენენ დეტალურ წესებს აღნიშნული ხელშეკრულებების შეწყვეტის თაობაზე.

მუხლი 16

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოწვევის შემთხვევები

წევრი სახელმწიფოები არ ითვალისწინებენ მე-9 და მე-15 მუხლებში მოცემულ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, შემდეგთან მიმართებით:

- a. მომსახურების ხელშეკრულებები, მომსახურების სრულად შესრულების შემდეგ, თუ შესრულება დაიწყო მომხმარებლის გასაგებად გამოხატული თანხმობით და იმის აღიარებით, რომ ის დაკარგავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, მოვაჭრის მიერ ხელშეკრულების სრულად შესრულების შემდეგ;
- b. საქონლის ან მომსახურების მიწოდება, რომლის ფასი დამოკიდებულია ბაზარზე ფასების რყევაზე, რაც ვერ კონტროლდება მოვაჭრის მიერ და რომელიც შესაძლებელია მოხდეს ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდში;
- c. მომხმარებლის სპეციფიკაციებით დამზადებული ან გარკვევით პერსონიზებული საქონლის მიწოდება;
- d. ისეთი საქონლის მიწოდება, რომელიც მიდრეკილია სწრაფად გაფუჭებისა ან ვადის ამოწურვისკენ;
- e. ისეთი დალუქული საქონლის მიწოდება, რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას ჯანმრთელობის დაცვის ან ჰიგიენური მიზეზებით და რომელიც მიწოდების შემდეგ გაიხსნა;
- f. ისეთი საქონლის მიწოდება, რომელიც მიწოდების შემდეგ მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, განუყოფლად არის შერეული სხვა ნივთიერებასთან;
- g. ალკოჰოლიანი სასმელების მიწოდება, რომლის ფასი შეთანხმებული იქნა ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს, რომლის მიწოდება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ 30 დღის შემდეგ და რომლის ფაქტობრივი ღირებულება დამოკიდებულია ბაზარზე ფასების რყევაზე, რაც ვერ კონტროლდება მოვაჭრის მიერ;
- h. ხელშეკრულებები, რომელთა ფარგლებშიც მომხმარებელი სპეციალურად მოითხოვს მოვაჭრის მხრიდან ვიზიტს, სასწრაფო შეკეთების ან ტექნიკური უზრუნველყოფის განხორციელების მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ვიზიტის დროს, მოვაჭრე უზრუნველყოფს დამატებით მომსახურებას, გარდა მომხმარებლის მიერ კონკრეტულად მოთხოვნილი მომსახურებისა და საქონელს, გარდა ტექნიკური უზრუნველყოფის ან შეკეთების განსახორციელებლად საჭირო სათადარიგო ნაწილებისა, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ვრცელდება

აღნიშნულ დამატებით მომსახურებაზე ან საქონელზე;

- i. დალუქული აუდიო ან ვიდეო ჩანაწერები ან დალუქული კომპიუტერული პროგრამა, რომელიც იხსნება მათი მიწოდების შემდეგ;
- j. გაზეთისა და ჟურნალის მიწოდება, გარდა ასეთი პუბლიკაციების მიწოდებისათვის დადებული გამოწერის ხელშეკრულებებისა;
- k. საჯარო აუქციონზე დადებული ხელშეკრულებები;
- l. საცხოვრებელი მიწების გარდა სხვა მიწებისთვის საცხოვრებელის უზრუნველყოფა, საქონლის ტრანსპორტირება, მანქანის ქირავნობის მომსახურება, კვების ან დასვენებასთან დაკავშირებული მომსახურება, თუ ხელშეკრულება უზრუნველყოფს კონკრეტულ თარიღის ან შესრულების ვადას;
- m. ისეთი ციფრული კონტენტის უზრუნველყოფა, რომელიც არ მიეწოდება მატერიალური საშუალებით, თუ შესრულება დაიწყო მომხმარებლის გასაგებად გამოხატული თანხმობით და იმის აღიარებით, რომ ის შესაბამისად კარგავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას.

თავი IV

მომხმარებელთა სხვა უფლებები

მუხლი 17

მოქმედების სფერო

1. მე-18 და მე-20 მუხლები ვრცელდება ნასყიდობის ხელშეკრულებებზე. აღნიშნული მუხლები არ ვრცელდება წყლის, გაზის ან ელექტროენერჯის მიწოდების ხელშეკრულებებზე, როდესაც ისინი არ იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით, ასევე ცენტრალური გათბობის ხელშეკრულებებზე ან ციფრული კონტენტის მიწოდების ხელშეკრულებებზე, რომელიც არ მიეწოდება მატერიალური საშუალებით.
2. მე-19, 21-ე და 22-ე მუხლები ვრცელდება ნასყიდობისა და მომსახურების ხელშეკრულებებზე, ასევე წყლის, გაზის ან ელექტროენერჯის მიწოდების ხელშეკრულებებზე, ცენტრალური გათბობისა და ციფრული კონტენტის მიწოდების ხელშეკრულებებზე.

მუხლი 18

მიწოდება

1. მოვაჭრე, საქონლის მიწოდების მიზნით, დაუყოვნებლივ გადასცემს საქონელს მომხმარებლის ფიზიკური მფლობელობის ან კონტროლის ქვეშ, მაგრამ ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 30 დღისა, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ მიწოდების დროზე.
 2. როდესაც მოვაჭრე ვერ ასრულებს საქონლის მიწოდების ვალდებულებას მომხმარებელთან შეთანხმებულ დროში ან 1-ელ პუნქტში განსაზღვრულ ვადაში, მომხმარებელი მოუწოდებს მოვაჭრეს განახორციელოს მიწოდება, გარემოებასთან შესაფერისი დამატებითი დროის მონაკვეთში. მომხმარებელს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მოვაჭრე ვერ ასრულებს საქონლის მიწოდებას დამატებითი დროის მონაკვეთში.
- პირველი აბზაცი არ ვრცელდება ნასყიდობის ხელშეკრულებებზე, როდესაც მოვაჭრე უარს ამბობს საქონლის მიწოდებაზე ან როდესაც შეთანხმებულ პერიოდში მიწოდება არის აუცილებელი, ხელშეკრულების დადებისას არსებული ყველა გარემოების გათვალისწინებით ან, როდესაც ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებელი აცნობებს მოვაჭრეს, რომ მიწოდება განსაზღვრულ თარიღამდე ან განსაზღვრული თარიღისთვის არის აუცილებელი. აღნიშნულ შემთხვევებში, თუ მოვაჭრე ვერ აწვდის საქონელს მომხმარებელთან შეთანხმებულ დროში ან 1-ელ პუნქტში განსაზღვრულ ვადაში, მომხმარებელს აქვს უფლება დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულება.
3. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მოვაჭრემ დაუყოვნებლივ უნდა აანაზღაუროს ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი თანხა.
 4. მე-2 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების შეწყვეტის გარდა, მომხმარებელს შეუძლია დახმარებისთვის მიმართოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით უზრუნველყოფილ სხვა გამოსასწორებელ ზომებს.

მუხლი 19

გადახდის საშუალებების გამოყენების საფასური

წევრი სახელმწიფოები, გადახდის მოცემული საშუალების გამოყენებასთან მიმართებაში, მოვაჭრეებს უკრძალავენ მომხმარებლებისთვის ისეთი გადასახადის დაკისრებას, რომელიც სცდება მოვაჭრის მიერ გაწეულ ხარჯს აღნიშნული საშუალების გამოყენებისთვის.

მუხლი 20

რისკის გადასვლა

ხელშეკრულებებში, რომლის მიხედვითაც მოვაჭრე მომხმარებელს საქონელს უგზავნის, საქონლის დაკარგვის ან დაზიანების რისკი გადადის მომხმარებელზე, როდესაც ის ან მომხმარებლის მიერ მითითებული მესამე მხარე, რომელიც არ წარმოადგენს გადამზიდს, იძენს საქონლის ფიზიკურ მფლობელობას. თუმცა, მომხმარებელზე გადადის რისკი, საქონლის გადამზიდთან მისვლისას, თუ საქონლის გადატანა გადამზიდს დაავალა მომხმარებელმა და ეს არჩევანი არ იყო შემოთავაზებული მოვაჭრისგან, გადამზიდის მიმართ მომხმარებლის უფლებების დარღვევის გარეშე.

მუხლი 21

კომუნიკაცია ტელეფონის საშუალებით

წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ, როდესაც მოვაჭრე, დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, იყენებს სატელეფონო ხაზს მასთან სატელეფონოკონტაქტის მიზნისთვის, მომხმარებელი მოვაჭრესთან დაკავშირებისას არ არის ვალდებული გადაიხადოს სატარიფო განაკვეთზე მეტი.

პირველი აზრად არ ზღუდავს სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლების უფლებას დააწესონ გადასახადი ასეთ ზარებზე.

მუხლი 22

დამატებითი გადასახადები

მანამ, სანამ მომხმარებელი შეიზღუდება ხელშეკრულებით ან შეთავაზებით, მოვაჭრემ უნდა მოიპოვოს მომხმარებლის გასაგებად გამოხატული თანხმობა ნებისმიერ დამატებით გადასახადზე, მოვაჭრის ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულებისათვის შეთანხმებული გასამრჯელოს გარდა. თუ მოვაჭრეს არ მოუპოვებია მომხმარებლის გასაგებად გამოხატული თანხმობა, მაგრამ დასკვნა გამოიტანა სტანდარტული პარამეტრების საშუალებით, რომელთაც მომხმარებელი უარყოფს, რათა თავიდან აიცილოს დამატებითი გადასახადი, მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს აღნიშნული გადასახადის ანაზღაურება.

თავი V

ზოგადი დებულებები

მუხლი 23

აღსრულება

1. წევრი სახელმწიფო უზრუნველყოფს ადეკვატური და ეფექტური საშუალებების არსებობას, წინამდებარე დირექტივასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
2. 1-ელ პუნქტში მითითებული საშუალებები მოიცავს დებულებებს, რომლის დანახმაც ერთი ან რამდენიმე შემდეგ ორგანოთაგანი მოქმედებს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დადგენილი წესით, სასამართლოებისა და კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე, რათა უზრუნველყოს იმ ეროვნული დებულებების გამოყენება, რომლებსაც წინამდებარე დირექტივა ეროვნულ დებულებებში გადმოაქვს:

- a. საჯარო ორგანოები ან მათი წარმომადგენლები;
- b. მომხმარებელთა ორგანიზაციები, რომლებსაც გააჩნია მომხმარებელთა დაცვის კანონიერი ინტერესები;
- c. პროფესიული კავშირები, რომლებსაც გააჩნია მოქმედების კანონიერი ინტერესები.

მუხლი 24

პირგასამტეხლო

1. წევრი სახელმწიფოები ადგენენ წესებს პირგასამტეხლოზე, რომელიც ვრცელდება წინამდებარე დირექტივის თანახმად მიღებული ეროვნული დებულებების დარღვევისას და იღებენ ყველა საჭირო ზომას, მათი განხორციელების უზრუნველსაყოფად. უზრუნველყოფილი პირგასამტეხლო უნდა იყოს ეფექტური, თანაზომიერი და გადამარწმუნებელი.
2. წევრი სახელმწიფოები აცნობენ კომისიას აღნიშნული დებულებების შესახებ, არაუგვიანეს 2013 წლის 13 დეკემბრისა და დაუყოვნებლივ ატყობინებენ მას ნებისმიერი შესაბამისი შესწორების თაობაზე.

მუხლი 25

დირექტივის იმპერატიული ხასიათი

თუ კანონი, რომელიც ვრცელდება ხელშეკრულებაზე, არის წევრი სახელმწიფოს კანონი, მომხმარებელს არ შეუძლია უარი თქვას ეროვნულ დონეზე არსებული ისეთი ზომების მიერ დაკისრებულ უფლებებზე, რომლებსაც გადმოტანილი აქვს წინამდებარე დირექტივა.

ნებისმიერი სახელშეკრულებო პირობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უარს აცხადებს წინამდებარე დირექტივიდან გამომდინარე უფლებებზე ან ზღუდავს მათ, არ არის სავალდებულო მომხმარებლისთვის.

მუხლი 26

ინფორმაცია

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები მომხმარებლებისა და მოვაჭრეების ინფორმირებისთვის, ეროვნულ დებულებებში წინამდებარე დირექტივის გადმოტანის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში წააქეზონ მოვაჭრეები და კოდის მესაკუთრეები, დირექტივის 2005/29/EC მე-2 მუხლის (გ) პუნქტის შესაბამისად, გააცნონ მომხმარებლებს საკუთარი ქცევის კოდექსი.

მუხლი 27

ინერციული გაყიდვა

მომხმარებელი თავისუფლდება ანაზღაურების უზრუნველყოფის მოვალეობისგან საქონლის, წყლის, გაზის, ელექტროენერჯის, ცენტრალური გათბობის ან ციფრული კონტენტის შეუთანხმებელი მიწოდების ან მომსახურების შეუთანხმებელი უზრუნველყოფის შემთხვევებში, რომელიც აკრძალულია დირექტივის 2005/29/EC მე-5 მუხლის მე-5 პუნქტითა და მისი I დანართის 29-ე პუნქტით. ასეთ შემთხვევებში, აღნიშნული შეუთანხმებელი მიწოდების ან უზრუნველყოფის შემდეგ მომხმარებლის მხრიდან პასუხის არარსებობა არ წარმოადგენს მის თანხმობას.

მუხლი 28

ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანა

1. წევრმა სახელმწიფოებმა, წინამდებარე დირექტივასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, უნდა მიიღონ და გამოსცენ კანონმდებლობა, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, არაუგვიანეს 2013 წლის 13 დეკემბრისა. ისინი დაუყოვნებლივ გადასცემენ კომისიას აღნიშნული ზომების ტექსტს საბუთების ფორმით. კომისია იყენებს აღნიშნულ საბუთებს 30-ე მუხლში მითითებული ანგარიშის მიზნებისთვის.

ისინი გამოიყენებენ აღნიშნულ ზომებს 2014 წლის 13 ივნისიდან.

როდესაც წევრი სახელმწიფოები მიიღებენ აღნიშნულ ზომებს, ისინი უნდა მოიცავდეს მითითებას წინამდებარე დირექტივაზე ან ოფიციალური გამოქვეყნების შემთხვევაში, მათ თან უნდა ერთოდეს აღნიშნული მითითება. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადაწყვიტონ როგორ გაკეთდება ასეთი მითითება.

2. წინამდებარე დირექტივის დებულებები ვრცელდება ხელშეკრულებებზე, რომლებიც იდება 2014 წლის 13 ივნისის შემდეგ.

მუხლი 29

ანგარიშის მოთხოვნები

1. როდესაც წევრი სახელმწიფო იყენებს მე-3 მუხლის მე-4 პუნქტში, მე-6 მუხლის მე-7 პუნქტში, მე-6 მუხლის მე-8 პუნქტში, მე-7 მუხლის მე-4 პუნქტში, მე-8 მუხლის მე-6 პუნქტში და მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ რომელიმე მარეგულირებელ არჩევანს, ის ამ ფაქტის და ასევე ნებისმიერი თანმდევი ცვლილების შესახებ აცნობებს კომისიას არაუგვიანეს 2013 წლის 13 დეკემბრისა.

2. კომისია უზრუნველყოფს 1-ელ პუნქტში მითითებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მომხმარებელთა და ბირჟის შუამავალთათვის, მათ შორის, განკუთვნილ ვებგვერდზე.

3. კომისია 1-ელ პუნქტში მითითებულ ინფორმაციას უგზავნის სხვა წევრ სახელმწიფოებსა და ევროპარლამენტს. კომისია აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით კონსულტაციას გადის დაინტერესებულ მხარეებთან.

მუხლი 30

კომისიის ანგარიში და განხილვა

კომისიამ, არაუგვიანეს 2016 წლის 13 დეკემბრისა, ევროპარლამენტსა და საბჭოს უნდა წარუდგინოს ანგარიში წინამდებარე დირექტივის გამოყენების შესახებ. აღნიშნული ანგარიში უნდა მოიცავდეს განსაკუთრებით ციფრულ კონტენტთან, მათ შორის, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებასთან დაკავშირებული დირექტივის დებულებების შეფასებას. ანგარიშს, საჭიროების შემთხვევაში, თან უნდა ერთოდეს საკონსტიტუციო წინადადებები წინამდებარე დირექტივის მომხმარებელთა უფლებების სფეროში განხორციელებულ განვითარებასთან ადაპტირების შესახებ.

თავი VI

დასკვნითი დებულებები

მუხლი 31

ძალადაკარგულად გამოცხადება

დირექტივები 85/577/EEC და 97/7/EC, რომლებიც შესწორდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 23 სექტემბრის დირექტივით 2002/65/EC მომხმარებლის ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის შესახებ²¹ და დირექტივებით 2005/29/EC და 2007/64/EC, ძალადაკარგულად ცხადდება 2014 წლის 13 ივნისიდან.

მითითებები გაუქმებულ დირექტივებზე განიმარტება, როგორც მითითება წინამდებარე დირექტივაზე და იკითხება II დანართში განსაზღვრული კორელაციის ცხრილის შესაბამისად.

მუხლი 32

დირექტივაში 93/13/EEC შესული შესწორება

დირექტივას 93/13/EC ემატება შემდეგი მუხლი:

მუხლი 8a

1. როდესაც წევრი სახელმწიფო, იღებს დებულებებს მე-8 მუხლის შესაბამისად, ის ატყობინებს კომისიას ამის შესახებ, ასევე ნებისმიერი შემდგომი ცვლილების შესახებ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დებულებები:

- ავრცობს უსამართლო ხასიათის შეფასებას ინდივიდუალურად შეთანხმებულ სახელშეკრულებო პირობებზე ან ფასისა და ანაზღაურების შესაბამისობაზე; ან
- შეიცავს სახელშეკრულებო პირობების ჩამონათვალს, რომლებიც უსამართლოდ ითვლება,

2. კომისია უზრუნველყოფს 1-ელ პუნქტში მითითებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მომხმარებელთა და ბირჟის შუამავალთათვის, მათ შორის, განკუთვნილ ვებგვერდზე.

3. კომისია 1-ელ პუნქტში მითითებულ ინფორმაციას უგზავნის სხვა წევრ სახელმწიფოებსა და ევროპარლამენტს. კომისია აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით კონსულტაციას გადის დაინტერესებულ მხარეებთან.'

მუხლი 33

დირექტივაში 1999/44/EC შესული შესწორება

დირექტივას 1999/44/EC ემატება შემდგომი მუხლი:

მუხლი 8a

ანგარიშის მოთხოვნები

1. როდესაც, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წევრი სახელმწიფო იღებს მომხმარებელთა დაცვის უფრო მკაცრ დებულებებს, ვიდრე მე-5 მუხლის პირველიდან მე-3 პუნქტებამდე და მე-7 მუხლის 1-ელ პუნქტშია მოცემული, ის ამის და ასევე ნებისმიერი შემდგომი ცვლილების შესახებ აცნობებს კომისიას.

2. კომისია უზრუნველყოფს 1-ელ პუნქტში მითითებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მომხმარებელთა და ბირჟის შუამავალთათვის, მათ შორის, განკუთვნილ ვებგვერდზე.

3. კომისია 1-ელ პუნქტში მითითებულ ინფორმაციას უგზავნის სხვა წევრ სახელმწიფოებსა და ევროპარლამენტს. კომისია აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით კონსულტაციას გადის დაინტერესებულ მხარეებთან.

მუხლი 34

ძალაში შესვლა

წინამდებარე დირექტივა ძალაში შედის მისი ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს.

მუხლი 35

ადრესატები

ეს დირექტივა ვრცელდება წევრ სახელმწიფოებზე.

შედგენილია სტრასბურგში, 2011 წლის 25 ოქტომბერს.

დანართი I

ინფორმაცია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების შესახებ

A. ტიპური მითითებები ხელშეკრულებიდან გასვლაზე

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება

თქვენ გაქვთ უფლება გახვიდეთ ამ ხელშეკრულებიდან 14 დღის ვადაში, მიზეზის დასახელების გარეშე.

ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდი იწურება [1] დღიდან 14 დღის გასვლის შემდეგ.

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების მიზნით, აღნიშნული ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე თქვენი გადაწყვეტილების შესახებ უნდა შეგვატყობინოთ ([2]) ცალსახა განცხადების მეშვეობით (მაგ.: ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით გამოგზავნილი წერილით). თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ხელშეკრულებიდან გასვლის თანდართული ტიპური ფორმა, რომელიც არ არის სავალდებულო [3].

ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის დაცვის მიზნით საკმარისია, გამოგზავნოთ თქვენი განცხადება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით, ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის ამოწურვამდე.

ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები

თუ გახვალთ აღნიშნული ხელშეკრულებიდან, ჩვენ ავინაზღაურებთ თქვენგან მიღებულ ყველა გადასახადს, მათ შორის მიწოდების ღირებულებას (გარდა დამატებითი ღირებულებისა, რომელიც გამოწვეულია თქვენგან არჩეული მიწოდების ტიპით, რომელიც განსხვავდება ჩვენგან შემოთავაზებული ყველაზე ნაკლებად ღირებული სტანდარტული მიწოდების ტიპისგან) დაუსაბუთებელი შეფერხების გარეშე და ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებიდან გასვლაზე თქვენი გადაწყვეტილების შესახებ ჩვენი ინფორმირების დღიდან არაუგვიანეს 14 დღისა. ანაზღაურებას განვახორციელებთ იმავე გადახდის საშუალებებით, რომლებიც თქვენ გამოიყენეთ საწყისი გარიგებისას, თუ თქვენ პირდაპირი ფორმით სხვაგვარად არ შეთანხმდით; ნებისმიერ შემთხვევაში, თქვენ არ დაგეკისრებათ რამენაირი გადასახადი ასეთი ანაზღაურების შედეგად [4].

[5]

[6]

შევსების მითითებები:

[1] ჩასვით ბრჭყალებში მოთავსებული ერთ-ერთი შემდეგი ტექსტი:

- მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში ან წყლის, გაზის ან ელექტროენერჯის მიწოდების ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც ისინი არ იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით, ასევე ცენტრალური გათბობის ხელშეკრულების შემთხვევაში ან ციფრული კონტენტის მიწოდების ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელიც არ მიეწოდება მატერიალური საშუალებით: „ხელშეკრულების დადების“;
- ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში: „თქვენ მიერ, ან თქვენ მიერ მითითებული, გადამზიდის გარდა სხვა, მესამე მხარის მიერ საქონლის ფიზიკურად ფლობის მოპოვების“
- მომხმარებლის ერთად შეკვეთილ და ცალ-ცალკე მიღებულ სხვადასხვა საქონელთან დაკავშირებული ხელშეკრულების შემთხვევაში: „თქვენ მიერ, ან თქვენ მიერ მითითებული, გადამზიდის გარდა სხვა, მესამე მხარის მიერ საბოლოო საქონლის ფიზიკურად ფლობის მოპოვების“
- რამდენიმე პარტიის ან ნაწილისგან შემდგარი საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების შემთხვევაში: „თქვენ მიერ, ან თქვენ მიერ მითითებული, გადამზიდის გარდა სხვა, მესამე მხარის მიერ საბოლოო პარტიის ან ნაწილის ფიზიკურად ფლობის მოპოვების“
- დროის განსაზღვრული მონაკვეთის განმავლობაში საქონლის რეგულარულ მიწოდებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების შემთხვევაში: „თქვენ მიერ, ან თქვენ მიერ მითითებული, გადამზიდველის გარდა სხვა, მესამე მხარის მიერ პირველი საქონლის ფიზიკურად ფლობის მოპოვების“

[2] მიუთითეთ შენი სახელი და გვარი, გეოგრაფიული მისამართი და არსებობის შემთხვევაში, ტელეფონის ნომერი, ფაქსის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

[3] თუ მომხმარებელს მისცემთ არჩევანს თქვენს ვებგვერდზე ელექტრონულად შეავსოს და წარადგინოს ინფორმაცია ხელშეკრულებიდან მისი გასვლის შესახებ, ჩასვით შემდეგი: „თქვენ ასევე შეგიძლიათ ელექტრონულად შეავსოთ და წარადგინოთ ხელშეკრულებიდან გასვლის ტიპური ფორმა ან სხვა ცალსახა

განცხადება ჩვენ ვებგვერდზე [მიუთითეთ ელექტრონული მისამართი]. თუ გამოიყენებთ აღნიშნულ ოფციას, ჩვენ დაუყოვნებლივ გამოგიგზავნით დასტურს ხელშეკრულებიდან გასვლის მიღებაზე, ხანგამძლე მატარებლით (მაგ: ელექტრონული ფოსტის საშუალებით).“

[4] ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში, თუ თქვენ არ შეგითავაზებიათ საქონლის უკან წაღება ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, ჩასვით შემდეგი: „ჩვენ შესაძლებელია შევაჩეროთ ანაზღაურება საქონლის უკან მიღებამდე ან თქვენ მიერ საქონლის გამოგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენამდე, იმისდა მიხედვით, თუ რომელი განხორციელდება უფრო ადრე.“

[5] თუ მომხმარებელმა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით უკვე მიიღო საქონელი:

a. ჩასვით:

- „ჩვენ თავად წავიღებთ საქონელს“; ან,
- „საქონელი უნდა გამოგზავნოთ უკან ან გადმოგვცეთ ჩვენ ან ... [სადაც საჭიროა, მიუთითეთ თქვენ მიერ უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი და გეოგრაფიული მისამართი, რომელიც მიიღებს საქონელს], დაუსაბუთებელი შეფერხების გარეშე და ნებისმიერ შემთხვევაში, არაუგვიანეს 14 დღისა, ამ ხელშეკრულებიდან თქვენი გასვლის შესახებ ჩვენი ინფორმირების დღიდან. ვადა მიჩნეულ იქნება დაცულად, თუ საქონელს უკან გამოგზავნით 14 დღიანი ვადის ამოწურვამდე.“

b. ჩასვით:

- „საქონლის დაბრუნების ხარჯები გვეკისრება ჩვენ.“
- „საქონლის დაბრუნების პირდაპირი ხარჯები გვეკისრებათ თქვენ.“
- თუ დისტანციური ხელშეკრულების ფარგლებში, არ შეგითავაზებიათ საქონლის დაბრუნების ხარჯების საკუთარ თავზე აღება, ხოლო საქონლის დაბრუნება, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ჩვეულებრივ განხორციელდეს ფოსტის საშუალებით: „თქვენ გვეკისრებათ საქონლის დაბრუნების ხარჯები, [მიუთითეთ თანხა] ევროს ოდენობით.“; ან თუ საქონლის დაბრუნების ღირებულება წინასწარ გონივრულად ვერ გამოანგარიშდება: „საქონლის დაბრუნების პირდაპირი ხარჯები გვეკისრებათ თქვენ. ღირებულების მაქსიმალური ოდენობა დაახლოებით შეფასებულია [მიუთითეთ თანხა] ევროდ.“ ან
- თუ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, საქონლის დაბრუნება, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ჩვეულებრივ განხორციელდეს ფოსტის საშუალებით და ის მომხმარებელს საკუთარ სახლში გადაეცა ხელშეკრულების დადების დროს: „საქონელს თავად დავიბრუნებთ საკუთარი ხარჯებით“; და

c. ჩასვით: „თქვენ პასუხისმგებელი ხართ მხოლოდ საქონლის შემცირებულ ღირებულებაზე, რომელიც გამოწვეულია მისი მოხმარებით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც აუცილებელია საქონლის თვისებების, მახასიათებლებისა და ფუნქციონირების დასადგენად.“

[6] მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების ან წყლის, გაზის ან ელექტროენერჯის მიწოდების ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც ისინი არ იყიდება შეზღუდული მოცულობით ან რაოდენობით, ასევე ცენტრალური გათბობის ხელშეკრულების შემთხვევაში, ჩასვით შემდეგი: „თუ თქვენ მოითხოვთ მომსახურების შესრულების ან წყლის/გაზის/ელექტროენერჯის/ცენტრალური გათბობის [ამოიღეთ, რომელიც შეუსაბამოა] მიწოდების დაწყება ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდში, თქვენ უნდა გადაგვიხადოთ ხელშეკრულებიდან თქვენი გასვლის შესახებ ჩვენ ინფორმირებამდე მიღებული მიწოდების პროპორციული თანხა, ხელშეკრულების სრული დაფარვის საპირისპიროდ.“

B. ხელშეკრულებიდან გასვლის ტიპური ფორმა

(შეავსეთ და დააბრუნეთ ეს ფორმა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გსურთ ხელშეკრულებიდან გასვლა)

- ვის: [მოვაჭრის სახელი და გვარი, გეოგრაფიული მისამართი და არსებობის შემთხვევაში, მისი ფაქსის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი უნდა მიეთითოს მოვაჭრის გვერდით]:
- მე/ჩვენ (1) გატყობინებთ, რომ მე/ჩვენ გავდივარ(თ) შემდეგი საქონლის (*)/შემდეგი მომსახურების მიწოდების (*) ნასყიდობის ხელშეკრულებიდან,
- შეკვეთის თარიღი (*)/მიღების თარიღი (*),
- მომხმარებლ(ებ)ის სახელი და გვარი
- მომხმარებლ(ებ)ის მისამართი
- მომხმარებლ(ებ)ის ხელმოწერა (თუ ეს ფორმა წარდგენილია ქალაქდზე)
- თარიღი

(*) წაშალეთ შესაბამისად.

დანართი II

კორელაციის ცხრილი

1-ლი მუხლი		მე-3 მუხლი, იკითხება მე-2 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებთან და მე-16 მუხლის (h) პუნქტთან ერთობლიობაში
	1-ლი მუხლი	1-ლი მუხლი, იკითხება მე-2 მუხლის მე-7 პუნქტთან ერთობლიობაში
მე-2 მუხლი		მე-2 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტი
	მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი	მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი
	მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი	მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი
	მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი	მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი
	მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი, პირველი წინადადება	მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი
	მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი, მეორე წინადადება	—
	მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი	—
მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი		მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი
მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის (a) ქვეპუნქტი		მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის (e) და (f) ქვეპუნქტები
მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის (b) ქვეპუნქტი		მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის (j) ქვეპუნქტი
მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის (c) ქვეპუნქტი		—
მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის (d) ქვეპუნქტი		მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის (d) ქვეპუნქტი
მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის (e) ქვეპუნქტი		მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის (d) ქვეპუნქტი
მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი		—
	მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის პირველი ქვეპუნქტი	მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის (d) ქვეპუნქტი
	მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მეორე ქვეპუნქტი	მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის (l) ქვეპუნქტი
	მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მესამე ქვეპუნქტი	მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის (m) ქვეპუნქტი
	მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მეოთხე ქვეპუნქტი	მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის (e) და (f) ქვეპუნქტები
	მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მეხუთე ქვეპუნქტი	მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-16 მუხლის (k) პუნქტი, იკითხება მე-2 მუხლის მე-13 პუნქტთან ერთობლიობაში
	მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი ქვეპუნქტი	მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის (j) ქვეპუნქტი
	მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მეორე ქვეპუნქტი	მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის (f) ქვეპუნქტი (ცხოვრების მიზნით საცხოვრებლის დაქირავებისთვის), (g) ქვეპუნქტი (საგზაო მოგზაურობისთვის), (h) ქვეპუნქტი (თაიმშერისთვის), (k) ქვეპუნქტი (მგზავრთა გადაყვანისთვის, გარკვეული გამოწვევებით) და მე-16 მუხლის (l) პუნქტი (ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებისგან გათავისუფლება)
მე-4 მუხლის პირველი		მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (b), (c) და (h)

წინადადება		ქვეპუნქტები და მე-7 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები
მე-4 მუხლის მეორე წინადადება		მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტი და მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი
მე-4 მუხლის მესამე წინადადება		მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
მე-4 მუხლის მეოთხე წინადადება		მე-10 მუხლი
	მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტი	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (b) და (c) ქვეპუნქტები
	მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის (b) ქვეპუნქტი	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (a) ქვეპუნქტი
	მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის (c) ქვეპუნქტი	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (e) ქვეპუნქტი
	მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის (d) ქვეპუნქტი	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (e) ქვეპუნქტი
	მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის (e) ქვეპუნქტი	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (g) ქვეპუნქტი
	მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის (f) ქვეპუნქტი	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (h) ქვეპუნქტი
	მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის (g) ქვეპუნქტი	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (f) ქვეპუნქტი
	მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის (h) ქვეპუნქტი	—
	მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის (i) ქვეპუნქტი	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (o) და (p) ქვეპუნქტები
	მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, იკითხება მე-8 მუხლის 1-ელ, მე-2 და მე-4 პუნქტებთან ერთობლიობაში
	მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი	მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი
	5-ე მუხლის 1-ლი პუნქტი	მე-8 მუხლის მე-7 პუნქტი
	მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი	მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის (m) ქვეპუნქტი
	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი	მე-9 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები, მე-10 მუხლი, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-14 მუხლი
	მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი	მე-13 მუხლი და მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის მეორე და მესამე აბზაცები
	მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი ქვეპუნქტი	მე-16 მუხლის (a) პუნქტი
	მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მეორე ქვეპუნქტი	მე-16 მუხლის (b) პუნქტი
	მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მესამე ქვეპუნქტი	მე-16 მუხლის (c) და (d) პუნქტები
	მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მეოთხე ქვეპუნქტი	მე-16 მუხლის (i) პუნქტი
	მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მეხუთე ქვეპუნქტი	მე-16 მუხლის (j) პუნქტი
	მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მეექვსე ქვეპუნქტი	მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის (c) ქვეპუნქტი

	მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი	მე-15 მუხლი
	მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი	მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტი (ნასყიდობის ხელშეკრულებებისთვის)
	მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი	მე-18 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები
	მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი	—
	მე-8 მუხლი	—
	მე-9 მუხლი	27-ე მუხლი
	მე-10 მუხლი	— (იხ. დირექტივის 2002/58/EC მე-13 მუხლი)
	მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი	23-ე მუხლის 1-ლი პუნქტი
	მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი	23-ე მუხლის მე-2 პუნქტი
	მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის (a) ქვეპუნქტი	მე-6 მუხლის მე-9 პუნქტი წინასახელშეკრულებო ინფორმაციასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთისთვის; სხვა შემთხვევებისთვის: –
	მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის (b) ქვეპუნქტი	24-ე მუხლის 1-ლი პუნქტი
	მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი	—
	მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი	25-ე მუხლი
	მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი	—
	მე-13 მუხლი	მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი
	მე-14 მუხლი	მე-4 მუხლი
	მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტი	28-ე მუხლის 1-ლი პუნქტი
	მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი	28-ე მუხლის 1-ლი პუნქტი
	მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი	28-ე მუხლის 1-ლი პუნქტი
	მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი	30-ე მუხლი
	მე-16 მუხლი	26-ე მუხლი
	მე-17 მუხლი	—
	მე-18 მუხლი	34-ე მუხლი
	19-ე მუხლი	35-ე მუხლი
მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი		მე-9 და მე-11 მუხლები
მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი		მე-12 მუხლი
მე-6 მუხლი		25-ე მუხლი
მე-7 მუხლი		მე-13, მე-14 და მე-15 მუხლები
მე-8 მუხლი		მე-4 მუხლი

<p style="text-align: center;">რეგულაციის (რეგულაცია მომხმარებელთა დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ)²² დანართი</p>	<p style="text-align: center;">მითითება</p>
<p>მე-2 და მე-11 პუნქტები</p>	<p>წინამდებარე დირექტივაზე</p>

¹(1) ოფიციალური ჟურნალი C 317, 23.12.2009, გვ. 54.

²ოფიციალური ჟურნალი C 200, 25.08.2009, გვ. 76.

³ევროპარლამენტის 2011 წლის 23 ივნისის პოზიცია (რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა ოფიციალურ ბიულეტენში) და საბჭოს 2011 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

⁴ოფიციალური ჟურნალი L 372, 31.12.1985, გვ. 31.

⁵ოფიციალური ჟურნალი L 144, 04.06.1997, გვ. 19

⁶ოფიციალური ჟურნალი L 177, 04.07.2008, გვ. 6.

⁷ოფიციალური ჟურნალი L 376, 27.12.2006, გვ. 36.

⁸ოფიციალური ჟურნალი L 178, 17.07.2000, გვ. 1

⁹ოფიციალური ჟურნალი L 88, 04.04.2011, გვ. 45.

¹⁰ოფიციალური ჟურნალი L 255, 30.09.2005, გვ. 22.

¹¹ოფიციალური ჟურნალი L 124, 08.06.1971, გვ. 1.

¹²ოფიციალური ჟურნალი L 319, 05.12.2007, გვ. 1.

¹³ოფიციალური ჟურნალი L 149, 11.06.2005, გვ. 22.

¹⁴ოფიციალური ჟურნალი L 201, 31.07.2002, გვ. 37.

¹⁵ოფიციალური ჟურნალი L 95, 21.04.1993, გვ. 29.

¹⁶ოფიციალური ჟურნალი L 171, 07.07.1999, გვ. 12.

¹⁷ოფიციალური ჟურნალი C 321, 31.12.2003, გვ. 1.

¹⁸ოფიციალური ჟურნალი L 158, 23.06.1990, გვ. 59.

¹⁹ოფიციალური ჟურნალი L 33, 03.02.2009, გვ. 10.

²⁰ოფიციალური ჟურნალი L 133, 22.05.2008, გვ. 66.

²¹ოფიციალური ჟურნალი L 271, 09.10.2002, გვ. 16.

²²ოფიციალური ჟურნალი L 364, 09.12.2004, გვ. 1.